საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

პარასკევი, 12 აპრილი. 2019 წ. №73 (8739) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდ-ვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხალ-ხის გაცდენა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.

ბიძინა ივანიშვილის კიდევ ერთი დიდი ქველ-მოქმედება

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილს შეხვდა.

სხვა საკითხებთან ერთად შეხვედრაზე საუბარი შეეხო ქვეყანაში არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას.

ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, სახელმწიფო ხელს შეუწყობს კვალიფიციური კადრების მომზადებას და მათ უცხოეთში ლეგალურ დასაქმებას. ასევე აღინიშნა, რომ ჩვენი ქვეყნისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მომავალი თაობის სწორად აღზრდას, სასიხარულოა, რომ განათლების მიმართულება სახელმწიფოსთვის პრიორიტეტულია და ამ კუთხით დიდი თანხები იხარჯება, მნიშვნელოვანია, რომ პედაგოგების ხელფასი გახდეს ღირსეული. შეხვედრის მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს ოჯახის როლს და აღნიშნეს, რომ სტაბილური და ძლიერი ოჯახები ქვეყნის სტაბილურობის განმაპირობებელია.

მისმა უწმინდესობამ ბიძინა ივანიშვილს სამების საკათედრო ტაძარში მიმდინარე სამუშაოები გააცნო. ბიძინა ივანიშვილის თქმით, ის მზადაა, სრულად დააფინანსოს სამების ტაძრის მოხატვის სამუშაოები.

ილია მეორემ ბიძინა ივანიშვილი დალოცა და წარმატებები უსურვა.

დაცულ ლანდშაფტებზე დიდი ჰესები არ აშენდება

9

12

სამეფო კარზე დავა შეწყდა!



რევაზ დავითაძის „ოქრო-ვერცხლი“

გუშინ საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრმა რევაზ დავითაძემ ბათუმში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე ატაცში მცირე „ოქრო“ მოიპოვა, ხოლო ორჭიდში მეორე ადგილი დაიკავა. 89 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში მოასპარეზე „ჯვაროსანმა“ 164, 167 და 170 კილოგრამი ასწია, ბოლო ცდაზე ნაჩვენ ები შედეგი კი 23-წლამდელებს შორის საუკეთესო გახლდათ.

აკვრაში ჩვენმა თანამემამულემ პირველ ცდაზე 194 კილოგრამი დაიმორჩილა, თუმცა, მეორეზე 199 ვერ ასწია. ამის შემდეგ სამწვრთნელო შტაბმა წონა 200-მდე გაზარდა, რაც დავითაძემ დასძლია და დროებით პირველ ადგილზე გადავიდა.

სომხეთის წარმომადგენელმა ჰაკობ მიკირტიჩიანმა ასპარეზობა აკვრაში 201 კილოგრამით დაიწყო. ატაცში მას 164 ჰქონდა აქტივში და 201 კილოგრამის დაფიქსირებით მეორე ადგილი გაინაღდა. ბრძოლის მიწურულს ჩვენმა მეზობელმა 207 შეუკვეთა, ასწია და ევროპის ჩემპიონი გახდა.

ვინც სამშობლოთი, სამწუხაროდ, არაა ავად!..

90

იხ. 5 გვ.



სისხლია ყველაფერი!..

არ ვიცი რატომ?! –

ადამიანებთან ურთიერთობა ჩემთვის უფრო საინტერესო გახდა, ვიდრე აქამომდე იყო!

ადამიანი, თურმე, იგივეა, რაც მცენარე (ნებისმიერი მცენარე)!

ადამიანი, თურმე, იგივეა, რაც ცხოველი (ნებისმიერი ცხოველი)!

არა! –

ეს არაა ადამიანის შეურაცხყოფა!

ეს ადამიანის ღირსების სრული შეცნობა გახლავთ!

სიკვდილი და სიცოცხლე ორივე პირობითია!

წარსული, აწმყო და მომავალი გონებაშეზღუდულთა მიერ დაწესებული დაყოფაა დროისა!

დრო მარადიულია!

– დრო ერთია! –

ვიცი, – დღეს ვარ!

– ვიცი, – ხვალ აღარ ვიქნები.

მაგრამ განა გაჩენამდე არ ვიყავ?!

სისხლია ყველაფერი!

სისხლი ელაპარაკება ყველას, მაგრამ მხოლოდ რჩეულთ ესმის მისი ღაღადისი!

სისხლს აქვს მეხსიერება!

სისხლს ახსოვს უხსოვარი დრო!

მე მესმის ჩემი სისხლის ენა!

მე ამიტომაც ვარ ქედმაღალი!

მე მჯერა, ჩემი სისხლი ილაპარაკებს უსასრულოდ!

ილაპარაკებს აწ და მარადის! –

უკუნითი უკუნისამდე!

* * *

მე სული დამიბერა იმ უბედურებამ, რაც საქართველოში დატრიალდა... ვაი მას, ვის სულსაც ხაჭაპური და ხაშლამა ჰყოფნის...

მე დიდ პატივს ვცემ დიდ სომეხ ხალხს, მათ ისტორიას, ბრძოლას სარწმუნოების, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. მათ აქვთ სიბრძნე: „ოღონდ მაცოცხლე და ცხენის ფლოქვსა და ნალს შუა მამყოფეო...“ ჩვენ კი გვაქვს შოთას სიბრძნე – „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა, სიკვდილი სახელოვანი...“ მე იმ ერის შვილი ვარ, რომელმაც რუსთაველი შვა და მრცხვენია, რომ დღეს ამ ერმა თავისუფლებისათვის სიკვდილს მონობა ამჯობინა...

მუხრან მაჭავარიანი

დღეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში გაიმართება ქართული ლექსის რეფორმატორის, პოეტი-აკადემიკოსის მუხრან მაჭავარიანის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომა (რუსთაველის პროსპექტი №52). დასაწყისი 14 საათზე.

მამუკა ბახტაძე - სამედიცინო კვლევების ჩასატარებლად ჩვენს მოქალაქეებს საზღვარგარეთ წასვლა აღარ მოუწევთ

მაღალტექნოლოგიური კვლევების ჩატარება საქართველოშიც იქნება შესაძლებელი, — სერვისს მოქალაქეებს მულტიპროფილური ლაბორატორია „მეგალაბი“ სთავაზობს, რომელიც გუშინ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ გახსნა.

მთავრობის მეთაურის შეფასებით, მნიშვნელოვანია, რომ გარკვეული ტიპის კვლევების ჩასატარებლად, საქართველოს მოქალაქეებს სხვა ქვეყნებში წასვლა აღარ მოუწევთ.

ამასთან ერთად, პრემიერი მიესალმება იმ ფაქტს, რომ „მეგალაბი“ მომავალ სპეციალისტებს პრაქტიკის გავლის საშუალებასაც აძლევს. მამუკა ბახტაძემ პროექტის განხორციელებაში შეტანილი წვლილისთვის ყველას მადლობა გადაუხადა.

„ამ პროექტს ჩვენთვის, ბევრი მიზეზის გამო აქვს დიდი მნიშვნელობა. პირველი გახლავთ ის, რომ ჩვენი მოქალაქეებისთვის მსგავსი ტიპის კვლევები და ტესტები უფრო ხელმისაწვდომი გახდება. რა თქმა უნდა, მას აქვს უზარმაზარი ეკონომიკური ეფექტი. რამდენიმე ათეული მილიონი დოლარი გადიოდა ქვეყნიდან იმის გამო, რომ საქართველოში არ გვქონდა შესაბამისი ინფრასტრუქტურა და ამასთან ერთად აღნიშნული პროექტი წარმოადგენს ჩვენი ხედვის ნაწილს, რომ სწორედ საქართველო უნდა გახდეს რეგიონისთვის ეკონომიკური ცენტრი. საქართველომ უნდა გაზარდოს საექსპორტო შესაძლებლობები, განსაკუთრებით ტურიზმის მიმართულებით და მსგავსი ინფრასტრუქტურა ამაში ძალიან დაგვეხმარება. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ გარკვეული პერიოდის შემდეგ ეს დაწესებულება მიიღებს აკრედიტაციას წამყვანი ქვეყნებისგან, რაც ავტომატურად ნიშნავს იმას, რომ ამ ლაბორატორიაში ჩატარებულ თითოეულ ტესტს განსაკუთრებული ვალიდურობა ექნება“, — განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

კავკასიის რეგიონში ყველაზე დიდი მულტიპროფილური ლაბორატორია „მეგალაბი“ , წელიწადში 6 მილიონამდე ტესტის კვლევას განახორციელებს. ლაბორატორია უახლესი სამედიცინო ტექნიკითაა აღჭურვილი და მაქსიმალური სიზუსტით უზრუნველყოფს დიაგნოსტირებას.

იტალიის მთავრობამ საქართველოს 2 მილიონი ევრო გამოუყო

ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე დაკვირვების ახალი სადგურების შეძენისა და ქ. თბილისის ბუნებრივი საფრთხეების რისკების დეტალური შესწავლისათვის იტალიის მთავრობამ 2 მილიონი ევრო გამოყო.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ნინო თანდილაშვილი სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად საქართველოში ვიზიტად მყოფ იტალიელ ექსპერტთა ჯგუფს შეხვდა.

ვიზიტის მიზანია იტალიის რესპუბლიკის გარემოს, ხმელეთისა და ზღვის სამინისტროსა და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, ქართული მხრისთვის გარემოს დაცვის სფეროში ფინანსური დახმარება. დაგეგმილია ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ახალი სადგურების შეძენა და ატმოსფერული ჰაერის მოდელირებისა და პროგნოზირების სისტემის დანერგვა იტალიის გამოცდილების გაზიარებით, ასევე ქ. თბილისის ტერიტორიის ფარგლებში მდინარე მტკვრისა და მისი შენაკადების აუზებში ჰიდროლოგიური და გეოლოგიური კვლევების განხორციელება.

აღსანიშნავია, რომ ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ქსელის გაფართოება კვლავ რჩება სამინისტროს ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად. მონიტორინგის გაძლიერების ფარგლებში იგეგმება 5 ახალი თანამედროვე, ევროპული სტანდარტებით აღჭურვილი ჰაერის მონიტორინგის სადგურის შეძენა და ინსტალირება, რაც ხელს შეუწყობს გარემოს ეროვნულ სააგენტოს მონიტორინგის ქსელის გაფართოებას, ხოლო მოდელირების საშუალებით შესაძლებელი იქნება სხვადასხვა არეალებში ჰაერის ხარისხის მდგომარეობის შეფასება.

თეა წულუკიანი: პატარა საქართველო, პირველად მისი წევრობის ისტორიაში, ძალიან დიდ თანხას ჩადებს ევროპის საბჭოს გადარჩენის ოპერაციაში...

— ფორუმი, რომლის წინაშეც წარდგა პრემიერ-მინისტრი, არის ევროპის საბჭოს საპარლამენტთაშორისო ასამბლეა, სადაც წევრი ქვეყნებიდან ჩამოსული საპარლამენტო დელეგაციები იღებდნენ მონაწილეობას, ანუ პოლიტიკოსები. ეს პოლიტიკოსები იყოფიან სხვადასხვა პოლიტიკურ ჯგუფად და, რა თქმა უნდა, პრაქტიკა არის ასეთი, რომ ქართველ დეპუტატებს ან ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციებს შეუძლიათ სთხოვონ ამა თუ იმ კითხვის დასმა. ეს არის მიღებული პრაქტიკა. ამაში არც უხერხულია რაიმე, არც მიუღებელი და განსაკუთრებული. მთავარი არის ის, რომ მამუკა ბახტაძის გამოსვლა იყო შთამბეჭდავი. შთამბეჭდავი იყო იმითაც, რომ მან რეალურად იმ რეფორმების შედეგები აჩვენა წევრი ქვეყნების დეპუტაციებს, რომელიც საქართველოს აქვს; აჩვენა ის, რომ საქართველო პროგრესის გზაზე დგას და ამას აღიარებს ყველა, რაც უნდა კრიტიკულად განწყობილი ევროპელი პოლიტიკოსი იყოს. ამას აღიარებენ ევროპის საბჭოს სტრუქტურები და ამას მოწმობს, ელემენტარულად, ციფრები, თუნდაც, სტრასბურგის სასამართლოში საქართველოდან გაგზავნილი საჩივრებისა.

ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, პირველად მას შემდეგ, რაც ჩვენ გავწევრიანდით ევროსაბჭოში, განაცხადი გააკეთა ისეთი, როგორსაც აკეთებენ დიდი ქვეყნები. ეს — თითქოს შეუმჩნევლად შეეცადა ზოგიერთი, რომ გაეტარებინა. ეს არის ძალიან დიდი მნიშვნელობის მქონე მოვლენა, როდესაც პატარა საქართველო, პირველად მისი წევრობის ისტორიაში, ძალიან დიდ თანხას ნებაყოფლობით ჩადებს ევროპის საბჭოს გადარჩენის ოპერაციაში. ამას სხვაგვარად არ ჰქვია, რადგან დიდმა ქვეყნებმა მას შეუწყვიტეს დაფინანსება. საქართველო არის დემოკრატიის გზაზე მდგარი ის ევროპული ქვეყანა, რომელიც ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ევროპის საბჭოს მსგავს ღირებულებებზე დაყრდნობილ სტრუქტურებს არ შეექმნას ფუნქციონირების პრობლემა.

ეს იყო ისტორიული განცხადება, ეს იყო ისტორიული ფაქტი და მნიშვნელოვანია, რომ ამას ჩვენ ხაზი გავუსვათ, როდესაც ჩვენი პატარა ქვეყანა დიდი ქვეყნის და კიდევ უფრო მნიშვნელოვან კონტრიბუციას იღებს, რომ გადაარჩინოს ევროპული სტრუქტურა...

დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი გიორგი გახარიას მადლობას უხდის

დიდი ბრიტანეთის საგრეო საქმეთა მინისტრი ჯერემი ჰანტი ტვიტერის საკუთარ გვერდზე, ქართველი სამართალდამცველების მიერ დაკავებული ჯეკ შეპარდის ბრიტანეთში ექსტრადირების საკითხს კიდევ ერთხელ ეხმაურება.

„ხშირად მიწევს საუბარი ბრიტანელების მიმართ ქვეყნის გარეთ ჩადენილი დანაშაულის შესახებ, თუმცა, დღეს ის მნიშვნელოვანი დღეა, როცა ჩვენი ქვეყნის მოქალაქე ბრუნდება დიდ ბრიტანეთში, რათა წარდგეს მართლმსაჯულების წინაშე. მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს — გიორგი გახარიას ჯეკ შეპარდის ბრიტანეთში ექსტრადირებისთვის“, — წერს ჯერემი ჰანტი თავის პოსტში.

იურიდიულმა კომიტეტმა ეკა ბესელიას კანონპროექტი ჩააგდო

2 მომხრე, 5 წინააღმდეგი — იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა ეკა ბესელიას მიერ მომზადებული კანონპრექტი ჩააგდო. მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნის შესახებ კანონპროექტი „ქართული ოცნებიდან“ დემარშით წასულმა დეპუტატმა კომიტეტზე გუშინ წარადგინა.

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერები კენჭისყრამდე აცხადებდნენ, რომ დოკუმენტს მხარს არ დაუჭერდნენ, რადგან მათი შეფასებით, კანონპროექტი კონსტიტუციასთან შეუსაბამოა. ეკა ბესელიას აზრით, იურიდიულ საკითხთა კომიტეტი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ლობისტად გადაიქცა.

საქართველოს რკინიგზაზე საკონტეინერო გადაზიდვებმა ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია

2019 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით საქართველოს რკინიგზის ჯგუფმა სატვირთო გადაზიდვამ 2.5 მილიონი ტონა შეადგინა, რაც წინა წლის ამავე პერიოდთან შედარებით 105 ათასი ტონით მეტია, ხოლო გადაზიდვებიდან მიღებული შემოსავალი 2018 წლის პირველი კვარტლის შემოსავალს 3.2 მილიონი აშშ დოლარით აღემატება.

მატება განპირობებულია, როგორც მშრალი ტვირთების სავაგონო გზავნილების, ასევე საკონტეინერო გზავნილების მნიშვნელოვანი ზრდით. 2019 წლის პირველ კვარტალში გადაიზიდა 1.48 მილიონი ტონა მშრალი სავაგონო ტვირთი, 2018 წელთან შედარებით აღნიშნული მაჩვენებელი 9%-ითაა გაზრდილი.

საკონტეინერო ტვირთბრუნვის მატებას საქართველოს რკინიგზაზე გარკვეულწილად ტრანზიტული ტვირთების მზარდი მოცულობა განაპირობებს — ამ მიმართულებით დადებითი ტრენდი 2018 წელს აღირიცხა.

ბაზარზე არსებული მოთხოვნების გათვალისწინებით საქართველოს რკინიგზა აქტიურად მუშაობს მშრალი ტვირთების, მათ შორის კონტეინერების მოზიდვასა და ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენებაზე.

„გაიქცევა“ თუ არა ინფლაცია?

14-თვიანი მაქსიმუმი უკვე აღირიცხა

მარტში ინფლაციის ტემპი დაჩქარდა და 14-თვიან მაქსიმუმს მიაღწია. „საქსტატის“ მონაცემებით, წლიური ინფლაციის დონემ 3.7% შეადგინა. მარტში წინა თვესთან შედარებით კი 1%-ია. პარლამენტში ფიქრობენ, რომ წელს ფასების ზრდამ შეიძლება ეროვნული ბანკის მიზნობრივ მაჩვენებელს გაუსწროს.

ყოველთვიური ინფლაციის მაჩვენებლის გაზრდაზე ძირითადი გავლენა იქონია სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების გაძვირებამ. ამ ჯგუფში ფასების 1.3-პროცენტიანი მატება იყო, რაც 0.4 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ზრდაზე. ფასები გაიზარდა შემდეგ საქონელზე: ბოსტნეული და ბაღჩეულზე (8.2 პროცენტი), ხილსა და ყურძენზე (5.1 პროცენტი), ზეთსა და ცხიმზე (1.0 პროცენტით).

საგრძნობლად მომატებულია ფასი დასვენების, გართობისა და კულტურის მიმართულებით — 7.7 პროცენტით. შესაბამისად, ჯგუფის წვლილმა მთლიან ინდექსში 0.42 პროცენტული პუნქტი შეადგინა. ჯგუფში ფასების მატება იყო ტურისტულ მოგზაურობაზე (15.3პროცენტი).

რაც შეეხება ალკოჰოლურ სასმელებსა და თამბაქოს, მათი ფასი გაიზარდა 4.2 პროცენტით, რაც 0.3 პროცენტული პუნქტით აისახა თვის ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე. განსაკუთრებით გაძვირებულია თამბაქოს ნაწარმი (8.4 პროცენტი).

შემდეგ თვეებში შესაძლოა ფასების ზრდა კიდევ გაგრძელდეს, მით უფრო, რომ სხვადასხვა ტიპის სავაჭრო ობიექტებში რეალიზაცია შემცირებულია და ისინი გაძვირებით ცდილობენ ვითარების დაბალანსებას. მდგომარეობის სიმწვავეს გრძნობენ პარლამენტშიც. დეპუტატმა **ზოთა შალელაშვილმა** ორიოდე დღის წინ პარლამენტის სესიაზე ეროვნული ბანკის პრეზიდენტს **კობა გვენეტაძეს** საბანკო რეგულაციებსა და წლიურ ინფლაციაზე დაუსვა შეკითხვები. როგორც დეპუტატმა აღნიშნა, მარტში წლიურმა ინფლაციამ 3,7% შეადგინა, ეროვნული ბანკი კი მონეტარულ პოლიტიკას თანდათან ამსუბუქებს.

„მარტში წლიურმა ინფლაციამ 3,7% შეადგინა, თქვენ კი მონეტარულ პოლიტიკას თანდათან ამსუბუქებთ, უფრო მეტ ლარს უშვებთ მიმოქცევაში. ფულის მასა, ბოლო ორი თვის განმავლობაში, 7%-ით გაიზარდა და შეადგინა 631 მლნ ლარი. ხომ არ გამოიწვევს ეს იმას, რომ ინფლაცია წლიური მიზნობრივი მაჩვენებლიდან, ანუ ტარგეტირების ზონიდან გამოვა და ის 3%-იან მაჩვენებელს გადასცდება. ამის ნიშნები უკვე ჩანს“, — განაცხადა შალელაშვილმა.

ექსპერტები ინფლაციის ზრდის მიზეზად სამომხმარებლო ბაზარზე იმპორტის გავლენას მიიჩნევენ. თანაც ფასების მატება ყველაზე მეტად ასაკოვან მოსახლეობას უქმნის პრობლემას.

„ჩვენი შიდა ბაზარი 70%-ზე მეტით იმპორტულ საქონელზეა დამოკიდებული, რაც პირდაპირ ფასზე ახდენს გავლენას. ერთია, მსოფლიო ბაზარზე როგორ ყალიბდება ფასები და, მეორე მხრივ, როგორია ვალუტის კურსი. შეიძლება უცხოურ ბაზრებზე საქონლის ღირებულება ეცემოდეს (როგორც მოხდა შარშან შაქარსა და ნავთობპროდუქტებზე), მაგრამ ლარი უფასურდებოდეს და პროდუქტი მაინც არ გაიაფდეს ან, პირიქით, გაძვირდეს.

იმდენად ფასის მატება კი არ არის საშიში, არამედ ცალკეული კომპონენტების მიხედვით ფასების ასიმეტრიული ცვლილება. ახალგაზრდებისთვის შეიძლება ფასების მატება დაბალი ტემპით ხდებოდეს, მაგრამ პენსიონერებისთვის, რომლებსაც მედიკამენტები სჭირდებათ, ეს ტემპი გაცილებით მაღალია. საშუალო მაჩვენებელი ამ შემთხვევაში ბევრს არაფერს ამბობს, თუმცა მისი გამოყენება შეიძლება ტრენდის, განვითარებისა და ვექტორის დასადგენად“, — განაცხადა სტატისტიკოსმა სოსო არჩვაძემ.

ტაქსის მძღოლებს ავტომანქანების გადაღებვა არც ერთი თეთრი არ დაუჯდებათ!

თბილისის მერია ტაქსის მძღოლებს ავტომანქანების გადაღებვის ალტერნატივად თეთრი ფირის გადაკვრასაც სთავაზობს. ამის შესახებ დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ განაცხადა.

მისი თქმით, როგორც გადაღებვა, ისე თეთრი ფირის გადაკვრა ტაქსის მძღოლებს ფინანსურ ტვირთად არ დააწვება.

„როდესაც დავიწყეთ ამ რეფორმაზე ფიქრი და მუშაობა, რა თქმა უნდა, ვითვალისწინებდით ტაქსის მძღოლების სოციალურ მდგომარეობას. ამიტომ, გადაღებვის თანხები ტვირთად რომ არ დაეწვეს მათ, ამაზე პასუხისმგებლობა ავიღეთ ჩვენ და ერთ-ერთ სარეკლამო კომპანიასთან გავაფორმეთ ხელშეკრულება, რომელიც იღებს ვალდებულებას, რომ უზრუნველყოფს გადაღებვის სამუშაოების დაფინანსებას. ტაქსის მფლობელებს არც ერთი თეთრი არ დაუჯდებათ ავტომანქანების გადაღებვა, თუმცა მათ გამოთქვეს ვარაუდი, რომ შეიძლება გადაღებილი ავტომანქანა წლების შემდეგ ისეთ ფასად ვერ გაყიდონ, როგორც მათ სურთ. ამ საინიციატივო ჯგუფის ერთ-ერთი მოთხოვნა იყო, რომ ეს პრობლემა მოგვარებულიყო. აქაც მივიღეთ ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება და თუ გადაღებვა არ სურთ, მათ აქვთ შესაძლებლობა, რომ თეთრი ფირი გადააკრან. ამასაც ჩვენ ვაკეთებთ მათი მხრიდან ყოველგვარი დანახარჯის გარეშე“, — განაცხადა კახა კალაძემ.

ტექნიკის მაღაზიები შიდა განვადებაზე გადადიან

ტექნიკის მაღაზიების ინფორმაციით, სესხების გაცემაზე რეგულაციების შემოღების შემდეგ, გაყიდვების რიცხვი 70-80%-ით შეუმცირდათ, რადგან პროდუქტს ძირითადად განვადებებით ყიდდნენ. იანვრიდან მოყოლებული კი ბანკები განვადებას, საშუალოდ, 10 მყიდველიდან, მხოლოდ ერთს უმტკიცებენ. შესაბამისად, დღის წესრიგში დადგა ახალი შეთავაზების დანერგვა მომხმარებლისთვის, რათა სავაჭრო ობიექტები კრიზისიდან გაკოტრების რეჟიმში არ გადასულიყვნენ.

პირველი ნაბიჯი უკვე გადადგა კიდეც კომპანია „ტექნო ბუმმა“, რომელიც მაისიდან შიდა განვადების სერვისს აამოქმედებს. ასეთი გადაწყვეტილება კომპანიამ მას შემდეგ მიიღო, რაც რეგულაციების გამო, პროდუქციის რეალიზაცია მკვეთრად შეუმცირდა.

შიდა განვადების სერვისი მომხმარებლებს საშუალებას მისცემს, პროდუქცია ბანკის გვერდის ავლით, განვადებით შეიძინონ. ხელშეკრულება უშუალოდ „ტექნო ბუმსა“ და მომხმარებელს შორის გაფორმდება და მისი ვერდაფარვის შემთხვევაში კომპანია სესხს (განვადებას) ე.წ. კოლექტორულ კომპანიებზე გადაყიდის, რის შესახებაც კლიენტი განვადების ხელშეკრულების გაფორმებისას იქნება ინფორმირებული.

„ბიემის“ ინფორმაციით, განვადების დამტკიცების პროცედურა 5-10 წუთი გაგრძელდება და ძირითადად, საკრედიტო ისტორიას მიენიჭება მნიშვნელობა.

ჯერჯერობით სხვა სავაჭრო ქსელებს მომხმარებლისთვის სიახლე არ შეუთავაზებიათ, თუმცა რეალიზაციის მხრივ პრობლემებს ისინიც ადასტურებენ. მაგალითად, „ალტა-ოკეიში“ ამბობენ, რომ გაყიდვების თვალსაზრისით კლება შეიმჩნევა: **„ისეთი დრამატული არ არის, რომ ფარ-ხმალი დავყაროთ. იმედი გვაქვს, უკეთესობისკენ შეიცვლება სიტუაცია“,** — აცხადებენ კომპანიაში.

„ელიტ-ელიტრონიქსში“ კი ამბობენ, რომ გაყიდვებთან დაკავშირებით, ჯერჯერობით არანაირი ცვლილებები არ აქვთ და იმავე შემადგენლობით აგრძელებენ მუშაობას, თუმცა აღნიშნავენ, რომ „ეს რეგულაციები, ზოგადად ეკონომიკური მიმართულებით, მთელი ქვეყნის მასშტაბით განსხვავებული შედეგების მომცემი იქნება“.

„ზუმერში“ თვლიან, რომ რეგულაციების შემოღებიდან ჯერ საკმარისი დრო არ გასულა იმისთვის, რომ შედეგებზე ისაუბრონ. „მივყვებით ჩვენს მიერ დადგენილ გეგმას. ჩამორჩენა არ გვაქვს. განვადება რომ შემცირდა, გაიზარდა ე.წ. „ქეშით“ რეალიზაცია“, — ამბობენ „ზუმერში“.

2019 წლის იანვრიდან, ახალი საბანკო რეგულაციების ძალაში შესვლის შემდეგ, საქართველოს სასესხო ბაზარი მნიშვნელოვნად გარდაიქმნა. ახალი რეგულაციების მიხედვით, ბანკებს ევალებათ მსესხებლის გადახდისუნარიანობის უფრო მკაცრად შემოწმება, ვიდრე მანამდე. თითოეულ მოქალაქეს მისი ყოველთვიური ხელფასის მიხედვით დაწესებული აქვს მაქსიმალური ლიმიტი თუ რა მოცულობის სესხი შეიძლება აიღოს მან.

— თვეში 1000 ლარამდე შემოსავლის პირობებში, სესხის გადასახადი არ უნდა აღემატებოდეს 35%-ს, ანუ 350 ლარს.

— თვეში 1000-2000 ლარამდე — 45%-ს, ანუ 900 ლარს

— თვეში 2000-4000 ლარამდე — 55%-ს, ანუ 2200 ლარს

— თვეში 4000 ლარზე მეტი, მოქალაქეს შეუძლია აიღოთ სესხი, რომლის ყოველთვიური გადახდებიც, 60%-ია.

ახალგორელებს ცხინვალი ხელოვნურ პრობლემებს უქმნის

29 მარტს შევიდა ძალაში ე.წ. სამხრეთ ოსეთსა და საქართველოს შორის საზღვრის გადაკვეთის ახალი, გართულებული წესები, რომლის შესახებაც ცნობილი ჯერ კიდევ 4 თებერვალს გახდა.

კერძოდ, საზღვრის გადაკვეთა ახლა მხოლოდ სპეციალური საშვებითაა შესაძლებელი. აქამდე საზღვრის გადაკვეთისთვის „სამხრეთ ოსური“ პასპორტიც საკმარისი იყო.

თუმცა, პრობლემები პირველი დღიდანვე დაიწყო, ეს ყველაფერი დაცინვას უფრო წააგავს — კვირის განმავლობაში მხოლოდ 10 განაცხადი მიიღება. სამშაბათობით კი მოსახლეობა საშვებს საერთოდ ვერ იღებს.

„დილიდან მსურველები უშიშროების სამსახურის ახალგორის განყოფილების შენობასთან გროვდებიან. გზის სავალ ნაწილზე საღამოს 5 საათამდე დგანან, დგანან ფეხზე. ჩამოსაჯდომიც კი არსად არის. ძირითადად, რიგში დგომა ტყუილად უწევთ, რადგანაც ათ კაცზე მეტი განაცხადს მაინც ვერ ჩააბარებს. საღამოს სახლებში ბრუნდებიან. ეს ყველაფერი ერთი კვირის შემდეგ ისევ მეორდება,“ — ამბობენ ადგილობრივები.

თუმცა, ახალგორელი აქტივისტის თამარ მეარაყიშვილის თქმით, ეს პრობლემები მხოლოდ ღარიბ, უბრალო მოსახლეობას ეხება. ვისაც კავშირები აქვთ, მათ სირთულეები არც უჩნდებათ.

თავად საბუთების მიღების პროცედურა ძალიან მარტივია. ეს ყველაფერი მხოლოდ განცხადების დაწერას და რამდენიმე საბუთის წარდგენას მოითხოვს — ეს გახლავთ „სამხრეთ ოსური“ პასპორტის ასლი, ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, სამუშაო ადგილიდან ცნობა (იმ შემთხვევაში თუ ადამიანი დასაქმებულია) და 2 ფოტოსურათი.

„ამ ყველაფრის გაკეთებას 15 წუთიც ეყოფა, მაშინაც კი, თუ ყველაფერს ნელა, აუჩქარებლად გააკეთებ. შესაბამისად, ერთ სამუშაო დღეში 140 ასეთი განაცხადის მიღება შეიძლება. რეალურად კი კვირაში მხოლოდ 10 განაცხადს იღებენ,“ — ჩივის თამარ მეარაყიშვილი.

ახალგორის რაიონის აღმოსავლეთ ნაწილიდან 600-ზე მეტი ადამიანს სჭირდება ეს საშვი. ამის გარდა, არის მიმდებარე ქართული სოფლებიც — წინაგარა, ზაქორა და ორჭოსანა.

„დღევანდელი ტემპებით გამოდის, რომ ყველა მსურველის დასაკმაყოფილებლად საჭირო 14 თვე. თანაც, საშვი შესაცვლელია ყოველ 8 თვეში. ადგილობრივები ცდილობენ, აღმოაჩინონ ამაში რაღაც შინაარსი, თუმცა, ვერ პოულობენ ვერაფერს ღია მტრობის გამოხატვის და დაცინვის გარდა,“ — ამბობს აქტივისტი.

Ekhokavkaza.com

იტალიის პარლამენტმა სომეხთა გენოციდი აღიარა

იტალიის პარლამენტის ქვედა პალატამ 10 აპრილს ქვეყნის მთავრობას მოუწოდა გენოციდად ოფიციალურად აღიაროს 1915-16 წლებში ოსმალეთის იმპერიაში სომხების მასობრივი მკვლელობები.

რეზოლუციას მხარი 382-მა დეპუტატმა დაუჭირა, წინააღმდეგ არც ერთი არ წასულა, 43-მა თავი შეიკავა.

ჯერ კიდევ 8 აპრილს თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ანკარაში იტალიის ელჩი დაიბარა და იტალიელი დეპუტატების ინიციატივასთან დაკავშირებით მწუხარება გამოთქვა. თურქეთის მთავრობა პირველი მსოფლიო ომის პერიოდში 300-500 ათასი სომეხის დაღუპვას აღიარებს, მაგრამ მათ გენოციდს კატეგორიულად უარყოფს.

2016 წელს გერმანიამ ოსმალეთის იმპერიაში სომხების მასობრივი განადგურება გენოციდად გამოაცხადა, რამაც თურქეთის ხელისუფლების მწვავე რეაქცია გამოიწვია. გერმანიის გარდა სომხების გენოციდი აღიარეს საფრანგეთმა, რუსეთმა, ვატიკანმა, შვეიცარიამ, ნიდერლანდებმა და სხვა რამდენიმე სახელმწიფომ.

ნატო-თურქეთი-რუსეთი: ვის აირჩევს ანკარა?

თურქეთისა და მისი ნატოელი მოკავშირეების დავის ფონზე გუშინ განსაკუთრებული ყურადღების ობიექტად იქცა შეხვედრა, რომელიც მოსკოვში რუსეთისა და თურქეთის ლიდერებს შორის გაიმართა. მისი დასრულების შემდეგ რეჯეფ თაიფ ერდოღანმა განაცხადა, რომ მისი ქვეყანა რუსეთისაგან S-400 ტიპის საზენიტო-სარაკეტო სისტემების შესყიდვაზე უარის თქმას არ აპირებს, ვლადიმირ პუტინმა კი S-400-ის შესახებ კონტრაქტს ორ სახელმწიფოს შორის თანამშრომლობის კუთხით „მთავარი პრიორიტეტი“ უწოდა და იქვე ისიც დასძინა, რომ შეიარაღების სფეროში მზადდება სხვა შეთანხმებებიც.

მოსკოვში ერდოღანის წელს უკვე მესამე ვიზიტს ფონად სდევდა დაძაბულობა თურქეთის ნატოელ მოკავშირეებთან. მიზეზი ანკარის სწორედ ეს გადაწყვეტილებაა: რუსეთისგან შეისყიდოს სისტემები, რომელიც შეუთავსებელია ნატოს სისტემებთან და მიჩნეულია საფრთხედ ამერიკული წარმოების F-35 საბრძოლო თვითმფრინავებისთვის.

„თურქეთმა უნდა აირჩიოს, დარჩეს ისტორიაში ყველაზე წარმატებული სამხედრო ალიანსის უმნიშვნელოვანეს პარტნიორად, ან რისკის ქვეშ დააყენოს ეს პარტნიორობა მსგავსი უგუნური გადაწყვეტილებით, რომელიც ძირს უთხრის ჩვენს ალიანსს“, — განაცხადა ვიზიტამდე ცოტა ხნით ადრე აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტმა მაიკ პენსმა.

ანკარამ და მოსკოვმა ბოლო წლებში მჭიდრო ურთიერთობა დაამყარეს. პარალელურად უარესდება თურქეთის ურთიერთობა ვაშინგტონსა და ევროკავშირთან.

ამ დაძაბულობის ფონზე ბრიგადის გენერალი ამირან სალუქვაძე არ გამორიცხავს, რომ ნატოდან თურქეთის გასვლის საკითხი დადგეს დღის წესრიგში, თუმცა იმასაც აღნიშნავს, რომ თურქეთისთვის ნატო უალტერნატივოა:

„თურქეთ-ამერიკის დაძაბულობა არ იხსნება და თუ ასეთი რიტორიკა გაგრძელდა, გამორიცხული არ არის, ნატოში თურქეთის წევრობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს. ერდოღანმა მინიშნებები გაიკეთა, რომ თუ თურქეთისადმი აშშ-ის მსგავსი დამოკიდებულება გაგრძელდა, ანკარას სხვა მოკავშირეების ძებნა მოუწევს. ორ სახელმწიფოს შორის ბევრი პრობლემაა: გიულენის გადმოცემის მოთხოვნა, ქურთული საკითხი, ახლო აღმოსავლეთში რუსეთ-თურქეთ-ირანის მჭიდრო თანამშრომლობა, რუსეთთან დაახლოება, განსაკუთრებით — სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის მიმართულებით, რაც აშშ-ისა და მთლიანად ნატოსთვის საკმაოდ მგრძნობიარე საკითხია. მიუხედავად ამერიკის მოთხოვნისა, ერდოღანმა რუსული S-400-ების შეძენა გადაწყვეტილად გამოაცხადა. საპასუხოდ აშშ მას თვითმფრინავების შეძენის დაბლოკვით ემუქრება. ამ ფონზე მხოლოდ 2019 წლის სამ თვეში ერდოღანი და პუტინი მესამედ ხვდებიან ერთმანეთს. რუსეთ-თურქეთის დაახლოება დასავლეთისთვის განსაკუთრებით დამაფიქრებელია შავ ზღვაზე რუსეთ-ნატოს გააქტიურების ფონზე. ჯერ არავის გაუჟღერებია, მაგრამ ვფიქრობ, ნატოს ან აშშ-ს მოუწევთ, შავ ზღვაზე რომელიმე წევრი ან პარტნიორი ქვეყნის ტერიტორიაზე რუსეთის მზარდი პოტენციალის საპირწონედ სამხედრო საზღვაო ბაზა ააშენოს. თუმცა მაინც ვფიქრობ, რომ პარტნიორებთან დაკავშირებით ერდოღანის განცხადება მხოლოდ სიტყვიერი მუქარაა, რადგან თურქეთი ნატოს გარეშე არ იქნება ისეთი ძლიერი, როგორიც ახლაა და როგორც შავ ზღვაზე, ასევე ახლო აღმოსავლეთში დაკარგავს გავლენებს. მის უკან აღარ იდგება ნატო, შესაბამისად, დარჩება რუსეთის და სხვა მოკავშირეების სანდოობის იმედად, ხოლო რამდენად სანდოა რუსეთი და რამდენად შეაჯერებენ ანკარა და მოსკოვი გრძელვადიან სტრატეგიულ ინტერესებს, თურქეთის ხელმძღვანელობის შესაფასებელია. ვფიქრობ, თურქეთისთვის ნატოს ალტერნატივა არ აქვს“.

მსგავსი სურათის ახლო ან საშუალოვადიან პერსპექტივაში დადგომას არ ელის რონდელის ფონდის მკვლევარი დავით ბატაშვილი. მისი შეფასებით, ეს არც თავად თურქეთის და არც აშშ—ის ინტერესებში შედის:

„თურქეთისთვის ნატოს წევრობა მნიშვნელოვანი დამხმარე ფაქტორია საგარეო პოლიტიკის წარმოებისას. მაგალითად, რუსული თვითმფრინავის ჩამოგდების მსგავსი ინციდენტის დროს უკეთესია, როდესაც ნატოს წევრი ხარ. საკუთარი ტერიტორიის უსაფრთხოების ფორმალური გარანტია მნიშვნელოვანი რამ არის. თურქეთის სრული „დაკარგვა“ არც აშშ-ს აწყობს. ორივე მხრიდან ამჟამინდელი ცუდი ურთიერთობა შეიძლება, დროებითი აღმოჩნდეს. არც ერთ მხარეს არაფერში სჭირდება ამ ვითარების თურქეთის ნატოდან გასვლით გართულება“.

საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხთა სპეციალისტი **გიორგი გობრონიძე** რუსეთ-თურქეთის ურთიერთობების გაუარესებას მოელის. მართალია, ვლადიმირ პუტინმა ერდოღანთან გუშინდელი შეხვედრის შემდეგ განაცხადა, **„რუსეთი და თურქეთი სირიაში მშვიდობის დასამყარებლად ძალისხმევას არ დაიშურებენო“,** მაგრამ გობრონიძე დაძაბულობას სწორედ ახლო აღმოსავლეთში გავლენების გადანაწილების პერიოდისთვის პროგნოზირებს:

„უნდა გვახსოვდეს რუსეთ-თურქეთის ურთიერთობების სპეციფიკა: მსგავსი დათბობები არ არის მუდმივი და ძალიან მალე, როგორც კი საქმე შეეხება ახლო აღმოსავლეთში გავლენების გადანაწილებას, მომსწრენი გავხდებით იმისა, რომ რუსეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობები ძალიან გაფუჭდება. დღეს თურქეთს, ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებიდან გამომდინარე, სადღაც ძლიერი მოკავშირე სჭირდება. ევროპაში, რბილად რომ ვთქვათ, ერდოღანის არ ესმით, რუსეთი კი არავისგან ითხოვს დემოკრატიის არანაირ სტანდარტს და ამიტომ ჰყავს ის მოკავშირეები, რომლებიც ჰყავს. თურქეთში დემოკრატიის ერთგვარი რევერსია ერდოღანს უბიძგებს, რუსეთთან პარტნიორობის ინტენსიფიკაცია მოახდინოს, მაგრამ როგორც კი დადგება კონკრეტული, გაზომვად-აწონადი ინტერესების საკითხი, როგორც ვთქვი, ამ ორი ქვეყნის ურთიერთობების ძალიან გაუარესების მომსწრენი გავხდებით და ეს კარგად ესმით ანკარაში. ისინი ალბათ, იმასაც ხედავენ, რომ რუსეთი თურქეთს რეგიონში საფრთხედ და გამოწვევად განიხილავს“.

რაც შეეხება საქართველოს ინტერესებს, როგორც გობრონიძე ამბობს, ნატოსთვის თურქეთთან ერთად საქართველოს ფასი გაცილებით მაღალია:

„თუ ნატოს სჭირდება უსაფრთხოების ზომების გამკაცრება და გაძლიერება შავი ზღვის აუზში, თურქეთთან ერთად ჩვენი ფასი გაცილებით მაღალია. რადგან თეორიაში, თურქეთი რომ არ იყოს ნატოს წევრი სახელმწიფო, რითია ნატო შავ ზღვაში წარმოდგენილი? — ბულგარეთით და რუმინეთით... გამოვიდეთ ძალთა ბალანსის ტრივიალური მოსაზრებიდან: როგორ წარმოგიდგენიათ, ამ ვითარებაში ნატომ მოახდინოს ძალთა დაბალანსება ცალკე თურქეთთან, რომელიც შავ ზღვაში პირველი ფლოტია და ცალკე რუსეთთან, რომელიც შავ ზღვაში მეორე ფლოტია?! ბულგარეთისა და რუმინეთის საზღვაო ძალები ამას ნამდვილად ვერ შეძლებენ“.

ვინც სამშობლოთი, სამწუხაროდ, არაა ავად!..

მრავალსაუკუნოვან ქართულ პოეზიაში შენი ახალი სიტყვა რომ თქვა და გამოირჩე, როგორც ჩანს, მუხრან მაჭავარიანი უნდა იყო. მან, თითქმის ყველასგან განსხვავებით, ჯერ კიდევ ჭაბუკმა, როგორც ლექსად ქცეულმა ქართულმა ხალმა, უმალ მიიქცია მთელი წიგნიერი საქართველოს ყურადღება და ასეთად დარჩა სიცოცხლის ბოლომდე. მეოცე საუკუნის მთელი მეორე ნახევარი. ასეთად დარჩება იგი უწინარესად სამშობლოთი დაავადებული პოეტი აკადემიკოსი, ქართული სიტყვის იდუმალების ამომცნობი, რომელსაც საქართველოსთან ერთად მარადიული სიცოცხლე უწერია. დღეს ის 90 წლის გახდებოდა, თუმცა მის სიცოცხლეს მხოლოდ დაბადების თარიღი აქვს...

...მუხრანის მთაწმინდაზე გარდასახლების შემდეგ, **ბოლო 9 წლის განმავლობაში**, ქართველმა მკითხველმა მიიღო 10 ახალი გამოცემა – მისი ავტორობით და – მასზე.

ამ გამოცემათაგან უწინარესად უნდა გამოვარჩიოთ „მთიები“, რომელიც 1974 წელს 50.000-იანი ტირაჟით დაიბეჭდა და, იმჟამინდელ ეპოქალურ მიზეზთა გამო – დაბეჭდვისთანავე თითქმის მთლიანად განადგურდა; 40 წლის შემდეგ კი, ღვთის წყალობით, „მთიები“ ხელახლა გამოიცა, სათანადო კალენდარული თუ სხვა რედაქციული შევსება-ჩასწორებებით.

2011 წელს მუხრანის ქალიშვილის **ქალბატონი ნანა მაჭავარიანის** შესანატრი ჭირისუფლობითა და ძალისხმევით, დაფუძნდა და გაიხსნა 2 ფილიალი **მუხრან მაჭავარიანის სახლ-მუზეუმისა**: ერთი თბილისში, ირაკლი აბაშიძის 48-ში (პოეტის ბინაში) და მეორე – საჩხერეში, მის მშობლიურ სოფელ არგვეთში, ბატონი მუხრანის დის მეუღლის, არქიტექტორ **გელა ლოსაბერიძის** მიერ დაპროექტებულ სახლში.

ამ სახლ-მუზეუმში არსებულ ხელნაწერთა საფუძველზე მომზადდა და გამოიცა:

- **მუხრან მაჭავარიანის** გამოუქვეყნებელი **ჩანაწერები – „ჩვეულებრიობით არაჩვეულებრივი“** (გამომცემლობა „ინტელექტი“, 2014),
- მუხრანის მეუღლის – ქალბატონი **ლამარა ბოკერია-მაჭავარიანის „ძე ქუხილისა“** (გამომცემლობა „დედაენა“, 2012);
- მუხრანის დის – **თინათინ** (დოდო) **მაჭავარიანის** „ჩემს პატარა დას ცრემლები სცვივა“ (2012).

საჩხერის მუნიციპალიტეტის თანადგომით, **მუხრან მაჭავარიანის სახლ-მუზეუმმა** დააწესა 2 ყოველწლიური კონკურსი: 2017 წელს – **მუხრან მაჭავარიანის სახელობის ლიტერატურული კონკურსი „პოეტური მინიატურები“** და 2018 წელს – კონკურსი **საუკეთესო ლექსიკოლოგიური ნაშრომის** გამოსავლენად – **„სიტყვა კლდოვანი“**.

წელს საჩხერის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ორგანიზატორობით, **მუხრან მაჭავარიანის დაბადებიდან 90 წლის იუბილეს ეძღვნება დეკლამატორთა კონკურსი „შენ, სისხლო ჩემო“**, რომელიც ჩატარდება ხვალ, 13 აპრილს, საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ არგვეთში, **მუხრან მაჭავარიანის სახლ-მუზეუმში**.

საკუთარი ერის კეთილმსახურების ნიშნად, ჩვენი სახელმწიფოს ნებითა და განგებულებით, 2015 წლის 17 მაისს, მუხრანის გარდაცვალებიდან 5 წლისთავზე, **საჩხერეში** დაიდგა **მუხრან მაჭავარიანის ძეგლი მოქანდაკე ბიძინა ავალიშვილისა**, ძეგლი კომპოზიციურად გააფორმა მოქანდაკე **გოგი ჟღენტმა**, ხოლო **თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მუხრან მაჭავარიანის** სახელი ეწოდა.

მარტო იმიტომ

სიტყვებს, – წინაპართ მიერ გახედნილთ, –
დიდი რუსთველის უღელში ნაბამთ, –
შობილთ კლარჯეთით, ქართლით, კახეთით, –
ერთად შეკრიბა რომელნიც საბამ,
ვეალერსები, ვითარცა ყვავილთ,
სიცოცხლეც მარტო იმიტომ მინდა,
რომ ჩემს საფლავზე ყაყაჩოსავით
ჰყვაოდეს სიტყვა, ქართული სიტყვა.

მიზეზი ყოვლის

სიგლახეს ჩვენსას
დავაბრალებთ უცხოს ნურავის! –
თვითდაკვირვების
მოვიმარჯვოთ,
დროა, უნარი!
მიზეზი ყოვლის,
რა სიგლახეც ჩვენში მძვინვარებს! –
თქვენ როგორ ფიქრობთ?! –
რაა?!
ვინ არი?!
ისევ ჩვენს შორის,
რომ იყო და რომაა ბევრი, –
თავისი ვისაც
ურჩევნია ყველაფერს თავი,
ვინც სამშობლოთი,
სამწუხაროდ,
არაა ავად,
ჰკიდია ვისაც
საქართველო ფეხებზე შენი.

* * *

საშველს რომ აღარ მაძლევს
ხოლმე მამულზე ფიქრი;
ხანდახან
გულში
ღიმილით
ვიტყვი: –

რა ჩემი ჭკუის საქმეა ნეტა,
მამულო ჩემო, გილხინს თუ გიჭირს! –
რომელი მეფე ერეკლე მე ვარ!
ანდა რომელი მსაჯული მისი!

პასუხად მყისვე,
ვითარცა სეტყვა,
ვინც კი და რაც კი არსებობს ირგვლივ, –
იხუვლებს ხოლმე,
იხუვლებს ერთხმად: –
ღალატიაო
მაგგვარი
ფიქრი!

გალაკტიონი რომ დავკრძალეთ და მთაწმინდის კალთას დავუყევით – მწერალთა კავშირის ერთმა მაშინდელმა ხელმძღვანელმა (მახსოვს!) მკლავში ხელი მომკიდა და მკითხა:

– გამოსათხოვარი სიტყვის თქმაზე უარი რატომ თქვიო?

– რასა ბრძანებთ, რისი უარი, ჩემთვის სიტყვის თქმა არავის შემოუთავაზებია-მეთქი! – მივუგე შემცბარმა.

მერე, ძალიან მალე გაირკვა: თურმე დამკრძალავ კომისიას დაედგინა: გალაკტიონის საფლავზე ახალგაზრდა მწერალთა სახელით სიტყვა მუხრანმა თქვასო!

ჩემთვის ამისი შეტყობინება ვისაც დაავალეს (შეუძლებელია, ვინმესთვის არ დაევალებინათ!), – გადაავიწყდა თუ განზრახ არ მითხრა, – არ ვიცი!..

გალაკტიონმა რომ თავი მოიკლა, მე მაშინ 30 წლისა ვიყავი;

დაწერილი და გამოქვეყნებული მქონდა თითქმის ყველა ჩემი, ასე თუ ისე ხეირიანი ლექსი.

უფროსი თაობის მწერლებთან (მათივე სურვილით) ხშირად მიწევდა ყოფნა.

ყოველთვის მიკვირდა ზოგიერთის მხრიდან აგდებული, ყოვლად უმართებულო დამოკიდებულება გალაკტიონის შემოქმედებისადმი.

ეს ასე იყო გალაკტიონის სიცოცხლეში.

გარდაიცვალა თუ არა, – მყისვე დაუწყეს ქება;

სიკვდილამდე ვინანიც ქირდავდნენ, – ისინი გაუხდნენ პირველი მაქებარნი.

საერთოდ, არაერთმა მოინდომა გალაკტიონით სახელის შოვნა!

ზოგმა იშოვა კიდეც!

რა გაეწყობა! –

„ყველას თავისი აქვს მუღამი
სახელის შოვნის!“..
ჭეშმარიტად დიდი პოეტი იყო
ცხონებული!
ყველაზე უკეთ თვითონ იცოდა
თავისი ფასი:
„შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა და
გალაკტიონი“.
ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი
სპეტაკი სული!

2002

* * *

ჩვენი მასწავლებლები არიან არა მარტო ჩვენი შორეული წინაპრები და ლიტერატურული სტაჟით ჩვენზე უფროსნი, არამედ ჩვენს თანატოლებთან ერთად, ისინიც, რომლებიც ესესაა შემოდიან ლიტერატურაში.

ყოველი ჩვენგანი ერთდროულად მასწავლებელიც არის და მოსწავლეც; მოსწავლე ყველასი, – ვინც იყო და ვინც არის! –

მე მაშინ 30 წლისა ვიყავი

(გალაკტიონი)

მასწავლებელი ყველასი, – ვინც არის და ვინც ჯერ არ არის!

ეს შესანიშნავად იცოდა გალაკტიონ ტაბიძემ. ამ პრინციპით სუნთქავდა იგი, როგორც პოეტი; წაუკითხავს არ ტოვებდა არავის, ვინც არ უნდა ყოფილიყო იგი, – ცნობილი თუ უცნობი.

და, სწორედ ამიტომ არის მისი პოეზია ყველა თაობისთვის ახლობელი და მარად ახალი.

როგორც პიროვნებაზე, მე გალაკტიონ ტაბიძეზე ბევრი არაფერი მაქვს მოსაგონარი. ის, ორი თუ სამი შეხვედრა, რომელიც მე მასთან მქონდა, კიდეც რომ მოვიგონო, დიდს ვერაფერს შეჰმატებს მას. საერთოდ, ჩემი აზრით, გალაკტიონმა მთელი თავისი პიროვნება პოეზიას უმსხვერპლა. ეს კარგად ესმოდა ყველას. და, ალბათ ამიტომაც იყო, რომ ყველა – ვინც მის გარშემო ტრიალებდა, ბევრ რამეს უთმობდა და უთმენდა მას.

რაიცა შეეხება გალაკტიონის შემოქმედებას, – იგი უდავოდ ღირსეულად არის დაფასებული მადლიერი სამშობლოს მიერ.

გალაკტიონი ჭეშმარიტად უდიდესი მოვლენა გახლავთ საერთოდ მეოცე საუკუნის პოეზიაში და, კერძოდ ქართულ საბჭოთა პოეზიაში. ერთი შეხედვით, სავალალო თითქოს ის არის, რომ გალაკტიონის სიდიადე უმთავრესად ქართულ ენაში მდგომარეობს, ძირითადად ქართული ენის ფენომენზეა დამოკიდებული და, ამიტომ, ცხადია, მიუწვდომელი რჩება მათთვის, ვინც ქართული არ იცის. მაგრამ აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ეს სრულიადაც არ ამცირებს გალაკტიონის პოეტურ სიდიადეს. სივრცობრივ და რიცხობრივ აღიარებას თუ გავყვებით, მაშინ თვით ჩვენი პლანეტა-დედამიწაც კი, როგორც მოგეხსენებათ, მხოლოდ ერთ-ერთი პაწია წერტილია ვეებერთელა გალაქტიკაში, მაგრამ ეს როდი ანელებს დედამიწის მკვიდრთა ბრძოლისუნარიანობასა და მსოფლიო სახელის მოხვეჭის სურვილს.

გალაკტიონი ფუძემდებელია ახალი ქართული ლექსისა. მან საკუთარ პოეტურ ქურაში გადაადნო ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ლიტერატურის მიღწევები, წარმოუდგენლად გაითავისა თავის წინამორბედ პოეტთა არა მარტო ლექსიკა, ტონალობაც კი.

კრიტიკულად მიიღო და ახალ, თავისებურ სიმაღლეზე აიყვანა ქართული პოეზიის დიდი ტრადიციები. ქართული ელფერი შესძინა უცხო, საერთაშორისო სიტყვებს: ვიადუკი, ვინიეტკა, კინოვარი, ექსცესი და სხვა... მის ლექსში ისე ბუნებრივად და სისხლხორცეულად ჟღერს, როგორც ორღობე, წისქვილი, ცხენოსანი და ა.შ.

არა ერთი და ორი ქართული ხალხური ლექსის რიტმი მოაქცია თავის ჭკუაზე; საოცრად გაამკვეთრა და გაითავისა. იმდენად საკუთარი დამღა დაასვა წინაპარ პოეტთა მიერ გამოყენებულ ინტონაციებს, რომ დღეს ბევრმა პროფესიონალმა მკითხველმაც კი არ იცის, თუ რამხელა მსგავსებაა აკაკის „საიდუმლო ბარათისა“ და „ლურჯა ცხენების“, გურამიშვილის „ზუბოვკისა“ და „მთაწმინდის მთვარის“ ტონალობათა შორის.

რუსთაველისა და აკაკის შემდეგ, გალაკტიონივით ქართული სიტყვა იშვიათად თუ მოუქცევია ვინმეს. გარდა რუსთაველის სიტყვისა, არც ერთი ქართველი პოეტის სიტყვას არა აქვს ისეთი მძაფრი გემო, ფერი და სუნი, როგორიც გალაკტიონის სიტყვას. ყოველდღიურ საუბარში, რუსთაველისა და აკაკის სტრიქონთა გვერდით ქართველი კაცი დღეს ყველაზე ჭარბად გალაკტიონის სტრიქონებს იყენებს. მხოლოდ სახელით, უგვაროდ მეოცე საუკუნის პოეტებიდან მარტო გალაკტიონს ახსენებს.

ძალიან ბევრი კარგი ლექსის ავტორია გალაკტიონი, მაგრამ განსაკუთრებით მონოლითური, მონუმენტური და ყველაფრითურთ ავტორისეულია გალაკტიონის ბოლოდროინდელი ლექსი: „ქებათა ქება ნიკორწმინდას“.

ეს ლექსი არის ქება არა მარტო ნიკორწმინდის დიდებული ტაძრისა, არამედ ეს ლექსი თავისი უცხო სიკარგით თვითონ გახლავთ ქება უკლებლივ ყველაფრისა, რაც კი საქართველოს დასაბამიდან დღემდე კარგი გაუკეთებია და, რასაც ამიერიდან კარგს გააკეთებს; ვინაიდან თვითონ ეს ლექსი, როგორც ასეთი, ვერავითარ შემთხვევაში ვერ დაიბადებოდა, საქართველოს უდიდესი კულტურული წარსულის შესანიშნავი ცოდნა და ბრწყინვალე მომავლის იმედი რომ არა!

გალაკტიონ ტაბიძე ერთი იმ ქართველთაგანია, ვინც თავისი დიადი ნიჭით სიმხნევესა და სიამაყეს ჰმატებს თავის მშობელ ერს.

1967

ბეოვულფი და ქართველი მითო-ეპიკური გმირები

თეკლე ჯანელიძეს ესაუბრება როსტომ ჩხეიძე

— ბატონო როსტომ, ანგლო-საქსური საგმირო ეპოსი „ბეოვულფი“, რომელიც ახლახან ხელმეორედ გამოიცა, თქვენი და პაატა ჩხეიძის ერთ-ერთი ადრეული თარგმანია.

— ჩვენი სიჭაბუკის დროინდელი, ბევრად ადრინდელი, ვიდრე მზის სინათლეს იხილავდა: 1989 წელს. მაშინ წლები სჭირდებოდა წიგნის შეტანას გეგმაში, მოსკოვი რომ ამტკიცებდა ჩვენს საგამომცემო სიებს, და გეგმაც მეტად არამყარი გახლდათ, შესაძლო იყო, წლიდან წელშიც გადაეტანათ, ვისაც დაჩაგრავდნენ.

ამ პროცესს ვერ ასცდა ქართული „ბეოვულფიც“, თორემ 80-იანი წლების პირველ ნახევარშივე გამზადებული გვქონდა არა მარტო ეპოსის პოეტური ვერსია, არამედ ინგლისური ნარკვევებიც მის ირგვლივ: ბარტონ რაფელის, რობერტ ჰ. კრიდისა და დევიდ რაიტის — რათა მკითხველს უფრო სრულყოფილი წარმოდგენა შეჰქმნოდა ინგლისური ლიტერატურის ამ უძველეს ძეგლზე.

სამწუხაროდ, ერთ-ერთი ნარკვევი „ბეოვულფზე“, როგორც ანგლო-საქსური ხანის პოეტურ ისტორიაზე (ავტორის, ხელნაწერის, ბიბლიოგრაფიის, რატონ ჰუს არქეოლოგიური აღმოჩენის შესახებ), ფორმათა რაოდენობის მკაცრი შემოზღუდულობის გამო, ამოვარდა წიგნიდან და მხოლოდ ამ მეორე გამოცემაში მოხერხდა მისი ჩართვაც. თუმც ის ხელმისაწვდომი გახდა მკითხველისთვის „ახალი ქართული გაზეთის“ ფურცლებიდან. დავძენ იმასაც, რომ ამ ახალ გამოცემაში შეივსო მთარგმნელთა ბოლოთქმაც წინანდელთან შედარებით.

— თვითონ ეპოსის თარგმანიც, თქვენი ამბავი რომ ვიცი, მარტოდენ არ გამეორდებოდა და უსათუოდ ჩაასწორებდით.

— საფუძვლიანი გადამუშავება არ დასჭირვებია, თუმც თავიდან ბოლომდე კი შევუდარეთ რედაქტირების, გაშალაშინების თვალსაზრისით და, ცხადია, გადახალისებით გადავახალისეთ — თვითონ ეპიკური ძეგლიც და ის ნარკვევებიც. და ძალიანაც გვიხარია, შეესაძლებლობა რომ მოგვეცა ხელახალი გამოცემისა. რომ არა ილიას უნივერსიტეტის რექტორის გიგა ზედანიას თავგამოდება, „ბეოვულფის“ ხელახალი გამოცემა ჩემთვის და პაატასთვის ფუფუნება იქნებოდა და საამისოდ იქნებ ვერც ვერასოდეს მოგვეცალა.

— სტუდენტებს ძალიან გამოადგებათ.

— დიახ, და არა მარტო ინგლისური ენის შემსწავლელთ თუ ფოლკლორით დაინტერესებულთ, არამედ ყველა დარგისას — „ბეოვულფი“, როგორც მსოფლიო ეპიკური აზროვნების ერთი გამორჩეული ქმნილებათაგანი, თვალსაწიერს უფართოებს ახალგაზრდას და წაადგება ცნობიერების თვითდადგინებაში.

— ვეღარ მომიგონებია, ჰერმან ჰესე მოიხსენიებს თუ არა ამ ეპოსს თავის მეტად მნიშვნელოვან „მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკაში“?

— არა, არ მოიხსენიებს. და როდესაც ინგლისური მწერლობის ზოგად მიმოხილვაზე გადადის, მის სათავეში აყენებს ჯეფრი ჩოსერსა და მის პოემას „კენტერბერიული მოთხრობები“ (როგორ არ ჩავურთო, რომ მოგვეპოვება ამ დიდებული ძეგლის შესანიშნავი თარგმანი გიორგი ნიშნიანიძის წყალობით), თუმც ამ „ბიბლიოთეკაში“ ვრცელ გამოხმაურება-ექსკურსში ზურაბ კიკნაძემ საგანგებოდ აღნიშნა, რომ: მასზე უწინარეს უნდა მოხსენიებულიყო სწორედ ეს ანგლო-საქსური ეპოსი. როდესაც ბატონი ზურაბი ასერიგად გახაზავდა „ბეოვულფის“ გამორჩეულ მნიშვნელობას, ჩვენ არამცთუ არ გვქონდა ის გადმოღებული ქართულად, არამედ არც კი წამოგვეწყო ერთობლივი მთარგმნელობითი საქმიანობა.

— ზურაბ კიკნაძის იმ ფრაზამაც ხომ არ შეგაგულიანათ ამ ეპოსის ქართული ვერსიის შესაქმნელად?

— ცხადია, ამ აღნიშვნამაც თავისი როლი ითამაშა, თუმც უმთავრესი ბიძგი გახლდათ მაინც ტიპოლოგიური მსგავსება „ბეოვულფსა“ და იახსარის ანდრეზს შორის, ერთი გმირი ურჩხულის დედას რომ ჩაჰყვება ტბის ფსკერზე და მეორე — დევს აბუდელაურის ტბაში. ეს მსგავსება კი მიგნებული ჰქონდა ოთარ ჩხეიძეს ვასილ ბარნოვისადმი მიძღვნილ ბიოგრაფიულ რომანში, ანუ უკვე შემოტანილიყო „ბეოვულფი“ ჩვენს ლიტერატურულ და სამეცნიერო მიმოქცევაში. და ბარემ ხელმისაწვდომიც გამხდარიყო გითი უფლისწულის თავგადასავალი, დანიელთა საშველად რომ ჩავიდოდა და კიდეც იხსნიდა გველეშაპთაგან.

— ხელთ გქონდათ „ბეოვულფის“ ახალინგლისური თარგმანები ლექსადაც და პროზადაც...

— დიახ, თუ ახალინგლისურზე არ გადმოიტანდნენ, ამ ეპოსის პირველწყარო, ის ენა გაუგებარია დღევანდელი მკითხველისათვის.

— მაგას ვგულისხმობდი სწორედ. და სხვადასხვა ცდები რომ არსებობს, საუკეთესოდ აღიარეს ბარტონ რაფელის პოეტური და დევიდ რაიტის პროზაული გადმოტანები. სხვებს იქნებ პროზაული ვერსიაც აერჩიათ ქართული თარგმანის პირველწყაროდ, მაგრამ თქვენ არ მორიდებიხართ ლექსად გადმოღებას, თუმც ბარტონ რაფელის ვერსიის გვერდით დევიდ რაიტის ვერსიაც გედოთ და მასაც ითვალისწინებდით.

— ანკი რატომ უნდა მოვრიდებოდით ლექსადვე გადმოღებას, ჯერ ისედაც და, მით უმეტეს, მოგვეპოვება შესაფერისი ლექსწყობა — პავლე ინგოროყვას მიერ აღმოჩენილი ძველქართული პოეტური საზომი: წყობილი სიტყვა — რომელიც ჩვენს დროში ააღორძინა თამაზ ჩხენკელმა და — მის სხვა პოეტურ თარგმანებს თავიც რომ დავანებოთ — ამ საზომის მოდერნიზებით გადმოიღო ინდური ეპოსი „ბჰაგავატგიტა“.



— მე ვესწრებოდი წარდგინებას რამდენიმე თვის წინათ, ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების სხდომაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, მარო მაყაშვილის დარბაზში, თქვენი და პაატა ჩხეიძის მიერვე თარგმნილი შუასაუკუნეების ინგლისური პოემისა „სერ გევეინი და მწვანე რაინდი“, რომელიც ასევე წყობილი სიტყვის გამოყენებით გაქვთ თარგმნილი, და თავის გამოსვლაში დავით წერედიანმა, ქართული მთარგმნელობითი ხელოვნების მეტრმა, აღნიშნა, რომ: ლექსწყობის ეს სახეობა ჯერ კიდევ როდის ააღორძინა ვასილ ბარნოვმა თავის ბელეტრისტულ ქმნილებებში.

— ვასილ ბარნოვის შემოქმედება პაატამაც და მეც თითქოს ურიგოდ არ ვიცით, მაგრამ ბატონი დავითის ეს დაკვირვება ჩვენთვის მაინც მოულოდნელი აღმოჩნდა და ძალიანაც გაგვახარა. ეს ის დაკვირვებაა, საგანგებო ნარკვევის თემად რომ უნდა გამოდგეს და კარგი იქნება, თუ დავით წერედიანი თვითონვე მოჰკიდებს ხელს და მრავალმხრივ ღირებულ გამოკვლევასაც შეგვძენს, ახალ პერსპექტივას რომ გადაშლის ქართული ლექსის შესწავლის გზაზე.

ისე „სერ გევეინი და მწვანე რაინდი“ რომ ახსენეთ, მისი თარგმნა პაატასა და მე გვირჩია ზვიად გამსახურდიამ (მისი ლიტერატურული და მთარგმნელობითი ღვაწლი ჯერაც წარმოსაჩენია) ზურაბ კიკნაძის ფოლკლორულ-ლიტერატურული სემინარების ციკლის ერთ-ერთ სხდომაზე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში რომ იმართებოდა წლების განმავლობაში, რომლის ერთ-ერთ თავყრილობაზეც პირველად წარმოვადგინეთ საჯაროდ „ბეოვულფის“ რამდენიმე ფრაგმენტი.

ბატონი ზვიადი მოწონებით შეხვდა „ბეოვულფის“ გადმოქართულების ფაქტს და იმ ნაწყვეტებს, თუმც შენიშვნად გაგვიზიარა, რომ რამდენიმე ადგილას წყობილი სიტყვა პროზაში გადადიოდა და ხელახლა ჩავკვირვებოდით. ესეც დასძინა: შესაძლოა, ვცდებოდე და ასე არ იყოს, უბრალოდ მოსმენისას ჯეროვნად ვერ მივადევნე ყურადღებაო. რამდენადაც სამიტინგო გამოსვლებისას მკვეთრი შეფასებანი სჩვეოდა, იმდენად ფრთხილი და მოზომილი გახლდათ ლიტერატურული მსჯელობისას. და ეს ჩვენს თავზეც გამოვცადეთ.

— კარგია, რომ მისი ის სურვილი ბოლოს და ბოლოს შეასრულეთ.

— სტუდენტებმა რომ დაისაჭიროვეს და გიგა ზედანიამაც შეგვაგულიანა, უშუალო ბიძგი გამოდგა ამ პოემის გადმოსაქართულებლად და აღარ გადავდეთ, არადა მანამდე რამდენჯერ შევჩივლეთ ერთმანეთს პაატამ და მე: „სერ გევეინი და მწვანე რაინდი“ გვრჩება და ეგაა უთარგმნელი, ბოლოს და ბოლოს ეს ერთი რაღაც გვთხოვა თუ შეგვიკვეთა ზვიად გამსახურდიამ და ნუთუ არ უნდა შევასხათ ხორციო!..

— როგორც ჩანს ზურაბ კიკნაძეც ადევნებდა თვალს „ბეოვულფის“ თარგმნის პროცესს, რაკიღა ერთ-ერთი სხდომა თქვენს ჯერაც გამოუქვეყნებელ თარგმანს მიუძღვნა.

— „ბეოვულფსაც“ გულისყურით ადევნებდა თვალს და სხვა ყველაფერსაც, რასაც იმჟამად ვსაქმიანობდი: მარტო იქნებოდა თუ პაატა ჩხეიძესთან ერთად და ყოველნაირად ვგრძნობდით მის თანადგომას. გაბეზრებულიც კი მყავდა და აკლებულიც გაუთავებელი შეკითხვებით, რაღაცებში გასარკვევად თუ დასაზუსტებლად შინაც რომ ხშირად ვესტუმრებოდი ხოლმე.

— გამოხმაურება თუ მოჰყვა „ბეოვულფის“ პირველ გამოცემას?

— იმჟამად პრესის ფურცლებზე: არავითარი. მხოლოდღა კარგა ხნის შემდგომ, უკვე ახალი ასწლეული რომ დადგებოდა, გამოქვეყნდებოდა ინგა მილორავას რეცენზია, კრიტიკოსის, რომელიც ერთნაირი სიღრმით ერკვევა ქართულ და დასავლურ ლიტერატურულ მოვლენებსა და პროცესებში და მის მოკლე და ტევად ანალიზს ამიტომაც ექნებოდა საგულისხმო მნიშვნელობა.

— სამეცნიერო მიმოქცევაში თუ დატრიალდა ეს ანგლო-საქსური ეპოსი, ის ქართული გამოცემა?

— ეს კი სულ ახლახან მოხდა: ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ერთ-ერთ გამოცემაში — „ქართული ფოლკლორის“ მე-9 წიგნში. ვგულისხმობ ნინო საბაძის არაორდინარულ გამოკვლევას „ბეოვულფისა და ამირანის ჰუბრისი“, რომელშიც ტიპოლოგიურადაა შესწავლილი და შედარებული ანგლო-საქსური ეპოსი და ქართული მითო-ეპიკური წარმოდგენები, სახელდობრ კი საერთო მოტივებია გამოვლენილი „ბეოვულფის“ ეპოსსა და ქართულ ამირანიანს შორის.

მკვლევარი ყურადღებას მიაქცევს ბეოვულფისა და ამირანის სამოღვაწეო გზის მსგავსებას, რასაც მათი ჰუბრისი განაპირობებს; გველეშაპთან ბრძოლას, რაც კავშირს ავლენს ქართულ მითოლოგიასთან, და ჰუბრისი, რაც გადამწყვეტ როლს თამაშობს გმირთა ცხოვრებაში და წარმართავს მათ ბედს.

ხშირად არის მოშველიებული ამონარიდები „ბეოვულფიდან“, თარგმანი კი შეფასებულია, როგორც შესანიშნავი.

ნინო საბაძის ეს ნარკვევი ცოტა ადრე რომ გამოქვეყნებულიყო, აუცილებლად გავითვალისწინებდით მთარგმნელთა ბოლოსიტყვაობაში, ცალკეულ საგულისხმო დაკვირვებებსაც და ზოგად დასკვნებსაც. თუმც ჩვენ თუ არა, სხვები გაითვალისწინებენ, აღარაფერს ვამბობ იმის თაობაზე, რომ შესაძლოა, გააგრძელონ ამ მიმართულებით კვლევა და საერთოდ ამ ეპიკური ქმნილებით საგანგებოდაც დაინტერესდნენ ქართული ფოლკლორის მკვლევარები, ისევე როგორც შუა საუკუნეების იმ პოემით — „სერ გევეინი და მწვანე რაინდი“ — რომელსაც დასავლურ მეცნიერებაში რომანადაც მოიხსენიებენ.

როდესაც ვირწმუნებით, რომ ჩვენი ფოლკლორული საგანძური უნდა განიხილებოდეს და გაიაზრებოდეს მსოფლიო ფოლკლორისტიკის ფონზე, სწორედ ნოყიერი მასალაა ერთი ეპიკური ქმნილებაც და მეორეც ტიპოლოგიური შედარებისთვისაც და პარალელთა გამოსავლენადაც ჩვენი ზეპირსიტყვიერების ნიმუშებთან.

— რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ბეოვულფი რეალური ისტორიული პირი უნდა ყოფილიყო.

— ასეა, დიახ, ოღონდ აგერ თუნდ ნინო საბაძეც აცხადებს, რომ „ბეოვულფის“ ისტორიულობა არ არის არსებითი, რადგანაც გმირთა თავგადასავალი ეპოსებში ისე უნდა გადმოცემულიყო, რომ ტრადიციული გმირის თავგადასავლის მოდელს მისადაგებოდა.

როდესაც ტრადიციულ გმირს ახსენებს, კიდეც მიუთითებს ლორდ რაგლანის მრავალმხრივ ღირებულ გამოკვლევას, რომელიც სწორედ ასეა დასათაურებული — „ტრადიციული გმირი“ და წარმოადგენს თვალსაჩინო დასტურს, რომ ამ ყაიდის გმირთა ცხოვრების გზა ეპიზოდებად როდესაც დაიყოფა, ხშირად მეორდება ერთი და იგივე შემთხვევები; ტიპურად კი მიჩნეულია შემთხვევები, თქმულებიდან თქმულებაში რომ მეორდება. აშკარა ხდება, რომ ყველა ეპიზოდი საერთო მოდელის ნაწილია და უმნიშვნელო ეპიზოდებიც კი ამ ძირითად მოდელს ეკუთვნის.

— ამ მოდელს ხომ არ მოარგო ქართველმა ფოლკლორისტმა თუნდ ბეოვულფის ბიოგრაფია?

— თვითონვეც მოერგება ეს ბიოგრაფია ლორდ რაგლანისეულ მოდელს და ქართველი მკვლევარი მხოლოდღა აღნიშნავს, რომ ბეოვულფის დედა სამეფო საგვარეულოს წევრია, არაფერი ვიცით გმირის ბავშვობაზე, ბეოვულფი მიდის გველეშაპებთან და ურჩხულებთან საომრად, მეფედ ეკურთხება და ერთხანს მშვიდად მეფობს, და საბოლოოდ დრაკონთან ბრძოლაში იღუპება.

აქვე უნდა დავძინო, რომ ნინო საბაძე მიუთითებს ლორდ რაგლანის ნარკვევის ინგლისურ დედანს, მაშინ როდესაც მისი ეს „ტრადიციული გმირი“ სწორედ 80-იანი წლების დასაწყისში მაქვს თარგმნილი და ცოტა მოგვიანებით გამოქვეყნებულიც „მნათობის“ ფურცლებზე. სხვათა შორის ქართულად გადმოვიღე ზურაბ კიკნაძის თხოვნითა და დავალებით, მაგრამ ისე მოხდა, რომ ამ ცოტა ხნის წინათ მისი „ქართული მითოლოგია“ რომ გამოქვეყნდა ორ წიგნად, იქაც ლორდ რაგლანის ამ გამოკვლევის ინგლისური ორიგინალია მითითებული.

— რატომ უნდა მომხდარიყო ასე?

— ჩემი ბრალია, სხვას ვის დავაბრალო. ჩაიკარგა ის თარგმანი „მნათობის“ ფურცლებზე, არადა ვაპირებდი და კარგიც იქნებოდა ცალკე ბროშურად მისი გამოცემა... ოღონდ მაშინ ვრცელი კომენტარები, არსებითად ექსკურსები უნდა დართვოდა, უპირველესად კი ქართული მასალა შემომეტანა და მომერგო ლორდ რაგლანისეული მოდელისათვის. თუ მოვაბი თავი, ახლაც შეიძლება ამის გაკეთება.

— თქვენს ფოლკლორისტულ წარსულს გაიხსენებთ?

— რატომაც არა. ანკი რამ გაყო ფოლკლორი და ლიტერატურა. ლორდ რაგლანის „ტრადიციული გმირი“ კი, ეს გზისგამკვლევი ნარკვევი, არამცთუ ბევრს გამოადგება, შეიძლება სულაც უბიძგოთ ტრადიციული გმირების ბიოგრაფიებში უფრო ღრმად ჩასახედად.

— აუცილებელია, ეს ექსკურსები ევროპულ ენებზეც ითარგმნოს, რათა ყველასთვის თვალნათლივი შეიქნას, რაოდენ საჭირო ა ქართული მასალები მათთვის ცნობილ უნივერსალურ მოვლენებსა და პერსონაჟებზე მსჯელობისას.

— ჯერ სად არის ლორდ რაგლანის „ტრადიციული გმირის“ კომენტირებული გამოცემა, უკვე მის თარგმნას რომ ახსენებთ.

— ისე თქვენ თუ ვერ მოიცლით, ვინმე როგორ არ დაურთავს თქვენეულ თარგმანს შესაფერის კომენტარებს.

— რატომაც არა... მით უმეტეს ფოლკლორის მკვლევართა ნაკლებობას არ განვიცდით.

— ორიოდე სიტყვით „სერ გევეინსა და მწვანე რაინდზეც“ ხომ არ გვესაუბრა?

— ორიოდე სიტყვისთვის ცოდოა, მით უმეტეს გრაალის თასის ციკლს უკავშირდება, ამ მოტივის ერთ-ერთი განშტოებაა, ეს მსოფლიო მოვლენა კი — გრაალის თასის ძიება — მართლაც რომ გაგვიმშობლიურა გრიგოლ რობაქიძემ, გრაალი ჩვენთვისაც ძვირფას საკრალურ საგნად და სიმბოლოდ რომ აქცია.

— მაინც როდის ვიგულისხმოთ ეს საუბარი?

— როგორც კი საამისო დროს გამოვძებნი.

სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ

ლადო კოტეტიშვილი ლიტერატურულ ავანსცენაზე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მარო მაყაშვილის დარბაზში ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებისა და ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ თაოსნობით გაიმართა განხილვა ლადო კოტეტიშვილის მოთხრობების კრებულისა „კეთროვანთა ზღაპრები.“ შეხვედრას ესწრებოდნენ მწერლები, უნივერსიტეტის პროფესორები და, გარდა ახალგაზრდებისა, ლადო კოტეტიშვილის ოჯახის წევრები.

საღამო მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ **როსტომ ჩხეიძემ** გახსნა. როგორც მან განაცხადა, ამ შეკრების უმთავრესი მიზანი მოთხრობების განხილვასთან ერთად, გახლდათ გახსენება იმ ღირსეული კაცისა, რომელიც ნაკლებად არის დაფასებული, ხალხში ნაკლებად ტრიალებს მისი სახელი. არადა, ვალდებულნი ვართ, ვიცოდეთ მის შესახებ, ვიცნობდეთ ლადო კოტეტიშვილს, როგორც მეცნიერს, ექიმსა და, როგორც აღმოჩნდა, შესანიშნავ ბელეტრისტსაც.

ლადო კოტეტიშვილი თავის დროზე წერდა მოთხრობებს, რომლებიც არ ქვეყნდებოდა, რადგან არც შეიძლებოდა გამოქვეყნებულიყო ბოლშევიკურ-კომუნისტური რეჟიმის გამო. საზოგადოება მას იცნობდა, როგორც მეცნიერს. გამოსცა არაერთი წიგნი — „წიგნი სააქიმოი“, „უსწორო კარაბადინი“ და „იადიგარ დაუდი“, რომელთა გამოქვეყნებასაც სჭირდებოდა არა მარტო ძველი ქართული ენის ფლობა, არამედ — ექიმის ცოდნა-გამოცდილება. „ასეთი გამონაკლისი კაცი გახლდათ სწორედ ლადო კოტეტიშვილი“ — ბრძანა მწერალმა. „იგი ადრე წავიდა ამქვეყნიდან, მაგრამ რისი გაკეთებაც მოასწრო, არის ძალიან მნიშვნელოვანი და ფასეული, ხოლო რაც შეეხება ამ წიგნს, ეს მხოლოდ ერთი ნაწილია ლადო კოტეტიშვილის მოთხრობებისა და კიდევ უნდა ველოდოთ ასეთ კრებულს. „კეთროვანთა ზღაპრები“ სათაურია ერთ-ერთი მოთხრობისა, მხატვრული ღირსებებით გამორჩეულის, რომელიც მთელი წიგნის დასახელებად არის გამოტანილი.

ვრცელი და საინტერესო შესავლის შემდეგ მწერალმა ქართული კრიტიკის სოხუმური ფრთის წარმომადგენელს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ სალომე კაპანაძეს დაუთმო ასპარეზი, რომელიც არაჩვეულებრივი სიტყვით წარსდგა საზოგადოების წინაშე. მან, როგორც თავად განაცხადა, აუდიტორიას გაუზიარა ლადო კოტეტიშვილის აღმოჩენით გამოწვეული უდიდესი სიხარული. „ლადო კოტეტიშვილი — სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ“ — ასე უწოდა ფილოლოგმა საკუთარ მოხსენებას.

სალომე კაპანაძემ თქვა:

„უცნაური ის არის, რომ მისი ლიტერატურული გატაცების ამბავმა მხოლოდ 2012 წელს გამოჟონა საქვეყნოდ და 1940 წელს გარდაცვლილი შემოქმედის მოთხრობები „ლიტერატურულ პალიტრაში“ იბეჭდება.“ ფილოლოგმა ისაუბრა ჟურნალის რედაქტორ ზაალ ჩხეიძის გაოცებაზე ამ შემოქმედის აღმოჩენისას, თუ როგორ არ უჯერებდა საკუთარ თვალებს და შემდგომ დაიმოწმა მისივე სიტყვებიც: „ცოტას თუ გამოუვა ასეთი ზღაპრული ტექსტები.“

„ამ გაოცებას ვერც მე დავმალავ,“ — დასძინა მომხსენებელმა. ხაზგასმით ისაუბრა ლადო კოტეტიშვილის, როგორც ექიმის, მკვლევრის, მწერლისა და მხატვრის, გამორჩეული შემოქმედის ნიჭიერებაზე. „ეს პირქუში, მდუმარე, ვაჟკაცური იერის კაცი თავის უზარმაზარ მკერდში საოცრად ჩვილ გულს ატარებს,“ — აღფრთოვანებული ეპითეტები უძღვნა მან ღირშესანიშნავ ადამიანს.

სალომე კაპანაძეს არც ის გამორჩენია, რომ თავისი მოსაზრება ჰქონდა მწერალს საბჭოთა სკოლებსა და შვილების აღზრდაზე. იცოდა, რომ ეს სკოლები სულიერად ამახინჯებდნენ მოზარდებს. მისთვის მიუღებელი აღმოჩნდა დროსთან გარიგება, სახლში რუსულად და, განსაკუთრებით, შერეულად, რუსულ-ქართულად საუბარს კრძალავდა. წითელი დროშების ელვარებამ ბევრს დაახუჭინა თვალი, მაგრამ ლადო კოტეტიშვილი არასოდეს უშინდებოდა ჟამთა ავ ქარტეხილებს, არასოდეს ხრიდა თავს, — აღნიშნა მომხსენებელმა.

წარმდგენმა ისაუბრა მითის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე ლიტერატურაში. „ლადო კოტეტიშვილი თავისი მხატვრული ხელწერით, ამ ეპოქის შვილია, ეპოქის, როცა მითი და სიმბოლო სრულიად განსხვავებული ცნებების აღმნიშვნელად იქცა.“

ლადო კოტეტიშვილის მოთხრობები, სალომე კაპანაძის თქმით, ორმაგი შიფრის ქვეშ განისვენებენ, ერთი ლიტერატურული, მეორე კი — პოლიტიკური. „ვერ ათავსებს ერთ წიგნში იბერიისა და საბჭოთა სამშობლოს სიყვარულს“, — აღფრთოვანებულია მომხსენებელი.

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა იმაზეც, რომ ლადო კოტეტიშვილის შემოქმედებას საფუძვლად არც ერთი ცნობილი მითის ნარატივი არ უდევს. „ქვაზე ნაქანდაკებ ასოებივით გამძლეა ფიქრები შორეულზე,“ — პირველივე ფრაზა მიგვანიშნებს გადაწყვეტილებაზე, თვითონ მიიღოს მონაწილეობა ახალი მითის შექმნაში, რომელიც მარადიულ საკრალურ საწყისებზე უნდა იდგეს. მთელი ემოციური მომხიბვლელობით საუბრობს პროფესორი „კეთროვანთა ზღაპრებზე“, განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს „გოჩმანაზე“ (რომლის მთავარ გმირსაც მაცხოვარი ესიზმრება!) და სხვა მოთხრობებზეც, ასე რომ მსმენელს უღვიძებს დიდ ინტერესს, რომ კიდევ ერთხელ მიუბრუნდეს ამ შესანიშნავ ნაწარმოებებს, იმდენად დეტალურად ხსნის მათში ჩადებულ არსს. „„ლადო კოტეტიშვილის კუთვნილი ადგილი უნდა მოინიშნოს ქართული მწერლობის ისტორიაში,“ — ასე დაასრულა ორატორმა საკმაოდ ვრცელი მოხსენება და დიდი მოწონებაც დაიმსახურა.

შემდგომ ამისა როსტომ ჩხეიძემ სიტყვა გადასცა ქართული კრიტიკის სოხუმური ფრთის კიდევ ერთ წარმომადგენელს, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ **მარინა ტურავას**.

კრიტიკოსმა, პირველ რიგში, მადლობა მოახსენა სალომე კაპანაძეს მშვენიერი მოხსენებისათვის. „ქართული კულტურა ვალშია კოტეტიშვილების გვარის წინაშე,“ — განაცხადა და დასძინა, რომ ლადო კოტეტიშვილის ტექსტები უნდა ისწავლებოდეს სკოლებში, უნდა სწავლობდნენ სტუდენტები და მათზე უნდა იმუშაონ ლიტერატურათმცოდნეებმა. მარინა ტურავამ ისიც აღნიშნა, რომ „მისალოც“ მკითხველს საოცარი ბედნიერება ელის წინ ამ ტექსტებთან ზიარებისას.

მომხსენებელმა ჯერ მწერლის ბიოგრაფიაზე გაამახვილა ყურადღება, შემდგომ კი გადავიდა „კეთროვანთა ზღაპრებზე“, რომელიც ლადო კოტეტიშვილს ქართული მოდერნიზმის სრულფასოვან წარმომადგენლად აქცევს. კრიტიკოსმა ისაუბრა „გოჩმანასა“ და „მიმქრალ ჩრდილებზე“, აქცენტი გააკეთა „პატარა ადამიანის“ კულტზე კოტეტიშვილის შემოქმედებაში, პარალელები გაავლო დავით კლდიაშვილის, შიო არაგვისპირელისა და ჭოლა ლომთათიძის შემოქმედებასთან, არც კონსტანტინე გამსახურდია გამორჩენია მხედველობის არიდან. ამ მომხსენებელმაც ხაზი გაუსვა იმას, რომ „გოჩმანაში“ „ტექსტი და ქვეტექსტი ემთხვევა ერთმანეთს, სიუჟეტური ხაზიც უწყვეტია, მაგრამ შეფარულად არის მხილებული საბჭოთა დრო“!

მკვლევარს არც ის დავიწყებია, რომ „კეთროვანთა ზღაპრებში“ იკვეთება ფრიდრიხ ნიცშეს პირველი რეცეფციები ლადო კოტეტიშვილის შემოქმედებაში.

მარინა ტურავას არც კრებულის ბოლო ნაწარმოები, „საგიჟეთი“ დაუტოვებია თავისი ყურადღების მიღმა. მან მაღალმხატვრული ოსტატობით ისაუბრა პერსონაჟ ზირან ზვიადაძეზე და საზოგადოებას აღუძრა სურვილი, თავად იმოგზაურონ ამ საინტერესო ადამიანის სულიერ სამყაროში.

როსტომ ჩხეიძემ განაცხადა, რომ ამ ორმა მოხსენებამ, სალომე კაპანაძისა და მარინა ტურავასი, არსებითად უკვე გამოკვეთა ლადო კოტეტიშვილის პროზის მნიშვნელობა და მიუჩინა შესაფერისი ადგილი ქართული მწერლობის ისტორიაში.

იოსებ ჭუმბურიძემაც მადლობა გადაუხადა ქალბატონებს სალომესა და მარინას შესანიშნავი გამოსვლისთვის და შემდგომ გაგვაცნო საკუთარი აზრი ლადო კოტეტიშვილთან დაკავშირებით. მან განაცხადა, რომ დრო გამოარჩევს ნამდვილ მწერლებს და ლადო კოტეტიშვილმა იპოვა საკუთარი ადგილი კონსტანტინე გამსახურდიასა და მიხეილ ჯავახიშვილის გვერდით.

შემდეგი გამომსვლელი გახლდათ **თამარელა წოწორია**. მან კოტეტიშვილს უწოდა მოდერნისტი, რომელიც აღმოაჩინა თანამედროვეობამ და მადლობა გადაუხადა ჟურნალ „ლიტერატურულ პალიტრას“, გამომცემლობა „ინტელექტს“, მანანა ჯანელიძესა და ზაალ ჩხეიძეს, რომელთაც უმეგზურეს ლადო კოტეტიშვილს. შემდეგ დაწვრილებით ისაუბრა „კეთროვანთა ზღაპრებზე“ და მანაც გაავლო პარალელები მიხეილ ჯავახიშვილთან, ნიკო ლორთქიფანიძესა და სხვებთან, რომელთაც „პატარა ადამიანის“ კულტი წამოსწიეს წინა პლანზე. თამარელა წოწორიამ ზეპირად წარმოადგინა თავისი სიტყვა და ასევე დიდი მოწონება დაიმსახურა აუდიტორიისა.

ძალიან ვრცელი მიმოხილვა შესთავაზა საზოგადოებას ლადო კოტეტიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ქალბატონმა **მანანა გაბაშვილმა**. მან ყურადღება გაამახვილა მწერლის ბიოგრაფიაზე, პიროვნულ ღირსებებზე, დაწვრილებით ისაუბრა მის ოჯახზე, ახლობლებზე, ზნეობრივ დამოკიდებულებებსა და ღირებულებებზე. ისაუბრა მასზე, როგორც მეცნიერზე და, ასევე, როგორც შემოქმედზე. ხაზი გაუსვა მწერლის ცვალებად ენასაც ცალკეულ ნაწარმოებებში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დარბაზში იმყოფებოდა **ნანა კოტეტიშვილი**, მწერლის ქალიშვილი. მეტად ემოციური გამოდგა მისი გამოსვლა, ცრემლიც კი მოჰგვარა საზოგადოებას, როცა ისაუბრა მამაზე, როგორც ღირსეულ პიროვნებასა და შემოქმედზე. ამავდროულად, ქალბატონმა აღნიშნა, რომ ის და მისი ქალიშვილი **ნათია ხორნაული** ამჟამად მუშაობენ ლადო კოტეტიშვილის შემოქმედების დღემდე უცნობი ნაწილის გამოქვეყნებაზე. „ცოდნა გადაგარჩენთო, გვეუბნებოდა მამა,“ — გაიხსენა ქალბატონმა ნანამ.

სხვა სტუმრებმაც გამოთქვეს თავიანთი მოსაზრებები მწერლის პიროვნებისა და ნაწარმოებების გარშემო (განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა მწერლისა და მკვლევარის მაკა ჯოხაძის ესემ, რომელმაც „კეთროვანთა ზღაპრები“ ეროვნულ და ზნეობრივ ჭრილში გაიაზრა და დღევანდელი სალიტერატურო პროცესის უშუალო მონაწილედ შერაცხა), მადლობა გადაუხადეს შესანიშნავ მომხსენებლებს, ასევე ამ შეხვედრების სულისჩამდგმელს ბატონ როსტომ ჩხეიძეს და სავსე შთაბეჭდილებით დატოვეს დარბაზი. საღამომ თითქმის სამ საათს გასტანა და დიდი სიამოვნება მიანიჭა თითოეულ დამწრეს — მწერლებს, პროფესორებსა და სტუდენტებს.

სალომე წყაროზია

„ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატი“

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს არტ გალერეაში „ეტალონის“ საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატი ჩატარდა, სადაც „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეტალონი მოსწავლე“ გამოვლინდა. ჩემპიონატში აფხაზეთის საჯარო სკოლის მოსწავლეები მონაწილეობდნენ, მათ შორის ოკუპირებული ტერიტორიიდან.

ჩემპიონატის დაწყებამდე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ვახტანგ ყოლბაიამ ღონისძიების მონაწილეებს წარმატება უსურვა და აღნიშნა, რომ „ეტალონი“ არის პროექტი, რომელიც თითოეულ მონაწილეს უდიდესი ტკივილის დაძლევაში ეხმარება.

2018-2019 წლების „ეტალონი მოსწავლე“ აფხაზეთის №1 საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლე მარიამ არშბა გახდა. დღევანდელ შეჯიბრში გამარჯვებულმა „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეტალონი მოსწავლის“ ტიტული და საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატის გრანდიოზულ ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვა.

ღონისძიებას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების და კულტურის მინისტრი მანანა ქვაჩახია, მინისტრის მოადგილე ბესიკ ოდიშარია, განათლებისა და საგანმანათლებლო პროგრამების სამსახურის უფროსი ნინო ლობჟანიძე, გალის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი ნონა შონია, სკოლის დირექტორები, მასწავლებლები, მოსწავლეები და მათი მშობლები ესწრებოდნენ.

რეკლამა

„საქართველოს რესპუბლიკაში“

ჩიქობავას ქ. №42/5.

599 79-76-79;

568 82-09-84

მომავლის დაგემოვნება

დედამიწის მოსახლეობის უდიდესი ნაწილის საგრძნობი გაღატაკება, რომელსაც კრიტიკულ მომენტში უმძლავრესი ამბოხი და ნებისმიერი მთავრობის გადაგდება შეუძლია, ასევე ტექნოლოგიური და კლიმატური კატასტროფები, რომლებიც დედამიწას აპოკალიფსის ზღვარზე აყენებენ — ყველაფერი ეს დიდად აღელვებს იმ მცირერიცხოვან, თუმცა კი ძლევამოსილ ჯგუფს, რომელსაც მსოფლიო სიმდიდრის ნახევარზე მეტი აქვს მოგროვილი.

ცოტამ თუ იცის, რომ შვეიცარიის დავოსში ყოველწლიურ მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმს, რომელიც „საერთაშორისო ეკონომიკის კაპიტნების“ მთავარი სამიტია, დახურული ნაწილიც აქვს, რომელზეც მხოლოდ ყველაზე მდიდრებსა და გავლენიანებს ეპატიჟებიან.

კიდევ უფრო ნაკლებმა უბრალო მოკვდავმა იცის, რომ ასეთივე დახურული ნაწილი აქვს ბილდერბერგის კლუბის შეხვედრების პროგრამას, რომელიც ასევე ყოველწლიურად ცნობისმოყვარე თვალებსა და ყურებს მოფარებულ ადგილებში იმართება. „დახურულად“ იგი იმ მიზეზით იწოდება, რომ საამისოდ სანგანგებოდ მოწყობილ სასახლეებში იმართება, რომელთა მარტო საიდუმლოს უზრუნველყოფილი აპარატურა 20-დან 50 მილიონ დოლარამდე ღირს.

მაინც რა არის ამ საიდუმლო თავყრილობათა არსი, რაზეც კრინტს არ ძრავენ საინფორმაციო სივრცეში? არსებული ინფორმაციით, იქ, არსებითად, დიდი ვაჭრობები იმართება, სადაც „კომივოიაჟორები“ — დეველოპერები და მომავლის ტექნოლოგიების შემქმნელი ინსტიტუტების მენეჯერები, თავიანთ „ვარსკვლავურ“ კლიენტურას, აპოკალიფსის შემთხვევაში მომავალი კეთილმოწყობილი ცხოვრებისთვის საჭირო მიწისქვეშა სასახლეებიდან მოყოლებული მედიცინისა და ბიოლოგიის უკანასკნელი მიღწევებით დამთავრებულ პირობებს სთავაზობენ.

ამერიკული ახალი ეკონომიკური აზროვნების ინსტიტუტის პრეზიდენტის მოწმობით, **„მსოფლიო ეკონომიკის კაპიტნები“ მასობრივად უკვეთავენ მიწისქვეშა სასახლეებს ახალ ზელანდიაში (თითოეული მათგანის ფასი 2,1-დან 5,7 მილიარდ დოლარამდეა). მათი დაპროექტებისა და მშენებლობის პერიოდი 12-15 წელია.** კერძო კვლევების შედეგად დადგენილია, რომ „მომავლის შოკების“ შემდეგ, დედამიწაზე მხოლოდ წყნარი ოკეანის სამხრეთ-დასავლეთში მდებარე ეს სახელმწიფო გადარჩება, თავად აპოკალიფსისი კი, რომელსაც კაცობრიობა საკუთარ თავს თავადვე მოუწყობს, უახლოეს 15-20 წელიწადში მოხდება. სადღეისოდ, ახალი ზელანდიის მიმდებარე პატარ-პატარა კუნძულების უმეტესობა უჩუმრად პრივატიზებულია პოსტაპოკალიფსური სამყაროს მბრძანებლების მიერ. ასეთი კუნძული სულ შვიდი ასეულია, სათანადო მშენებლობებისთვის გამოსადეგი კი მხოლოდ ყოველი მეექვსეა.

ამასთან აღსანიშნავია, რომ როგორც ძველი, ისე ახალი „ფულის ტომრები“ მილიარდებს მაღალ ტექნოლოგიებში აბანდებენ, რომელთაც მათთვის რეალური სარგებლის მოტანა შეუძლიათ. ასეთებია, მაგალითად, **ნანოკაფსულები, რომლებიც ორგანიზმს შიგნიდან წმენდენ და მკურნალობენ, შემდეგ კი თავისით იხსნებიან და ორგანიზმიდან ბუნებრივი გზებით გამოდიან. კიდევ ერთი ასეთი ტექნოლოგიაა ნანოაკუმულატორიანი მიკროსალბუნები, რომლებსაც თავის ქალის ფუძესთან აკრავენ და ეგრეთ წოდებული ტრანსკრანიალური ელექტროსტიმულაციის მეშვეობით რეაქციებისა და ნებისმიერი საგნების ათვისების სისწრაფეს აჩქარებენ. სადაცაა მზად იქნება ეგრეთ წოდებული „მაინდ-აფლოუდინგი“: ესაა მეხსიერებიდან მოგონებებისა და ემოციების ამოტვირთვა და მათ კომპიუტერულ დამგროვებელზე დასაწყობება, რომელთა ამორჩევითად (თარიღის, კატეგორიის, გაჯერებულობის) მიხედვით უკუჩატვირთვა იქნება შესაძლებელი. გარდა ამისა, შექმნილი იქნება ვიტამინური ჯაჭვები — ეს იქნება სტრუქტურულად ადამიანის დნმ-ის იდენტური ქიმიური პრეპარატები, რომლებსაც შეეძლებათ ადამიანის ორგანიზმის დაბერების შენელება, ან სულაც, შეჩერება.**

ასე „აგემოვნებენ მომავალს“ ძალზე სერიოზული ადამიანები. ერთი მათგანი, მაგალითად, ახლა დღე-ღამეში 150 ასეთ ვიტამინს იღებს. სავსებით ბუნებრივია, რომ ამ ხალხის საბოლოო მიზანი და საწუკვარი ოცნებაა **პერსონალური უკდავების** მიღწევა, რაც ადამიანთა უკვდავ კიბორგებად გადაქცევის გზით უნდა მოხდეს, რომელთაც ამავდროულად — ცხადია, სურვილისამებრ! — ემოციებისა და ფიზიკური განცხრომის განცდის უნარიც ექნებათ.

ფულიანი „ბიჭები“

საძმიანი წრეების ავტორიტეტულმა ჟურნალმა Forbes-მა მსოფლიოს უმდიდრეს ადამიანთა მორიგი სია გამოაქვეყნა. რეიტინგი შარშანდელი მონაცემების მიხედვითაა შედგენილი.

დოლარებით შეფასებული ქონების ოდენობით, ქვეყნებს შორის პირველ ადგილზეა **ამერიკის შეერთებული შტატები**, შემდეგ მოდიან **ჩინეთი, გერმანია, ინდოეთი და რუსეთი.**

მსოფლიოში უმდიდრესი კაცი ზედიზედ უკვე მეორე წელია, სამყაროში უდიდესი ინტერნეტ-მაღაზიის Amazon-ის დამფუძნებელი და მფლობელი **ჯეფ ბეზოსია,** რომლის ქონება 131 მილიარდი დოლარია. გასული წლის განმავლობაში ეს კაცი 19 მილიარდი დოლარით გამდიდრდა — იმის მიუხედავად, რომ ბოლო თვეებში მისი კომპანიის აქციები საგრძნობლად გაიაფდა. მეორე ადგილზეა კომპანია Microsopt-ის საქვეყნოდ ცნობილი დამფუძნებელი **ბილ გეიტსი** — 96,5 მილიარდი დოლარი, აღსანიშნავია, რომ ბოლო 25 წლის მანძილზე იგი უმდიდრეს ადამიანთა ნუსხის სამეულში მეთვრამეტედ მოხვდა.

დამკვირვებლები აცხადებენ, რომ ჯეფ ბეზოსს „მსოფლიოს უმდიდრესი კაცის“ ტიტულის ტარება დიდხანს არ მოუწევს, რადგან ცოლს ეყრება, რომლისთვისაც ქონების სანახევროდ გაყოფას აპირებს. მესამე ადგილზეა **უორენ ბაფეტი** — 82,5 მილიარდი დოლარის ქონება.

რაც შეეხება მშვენიერ სქესს, Forbes-ს ვერსიით მსოფლიოში ყველაზე მდიდარი ქალბატონია კომპანია L'oreal-ის დამფუძნებლის მემკვიდრე ფრანგი **ფრანსუაზა ბეტანკურ-მაიერსი,** რომლის საოჯახო ქონება 49,3 მილიარდი დოლარია. გაერთიანებულ სიაში კი მას საპატიო მე-15 ადგილი უკავია.

ერთიანად კი მსოფლიოში ათი უმდიდრესი კაცი 743,8 მილიარდი დოლარის ქონებას ფლობს. მათი ნუსხა კი ასეთია (მილიარდ დოლარებში):

1. **ჯეფ ბეზოსი** (აშშ, Amazon) — 131; 2. **ბილ გეიტსი** (აშშ, Microsoft) — 96,5; 3. **უორენ ბაფეტი** (Berkshire Hathway) — 82,5; 4. **ბერნარ არნო** (საფრანგეთი, ჰოლდინგი LVHM, ლუქსის კლასის ბრენდები) — 76; 5. **კარლოს სლიმ ელუ** (მექსიკა, America Movil) — 64; 6. **ამანსიო ორტეგა** (ესპანეთი, Indetex, ტანსაცმლის ბრენდები) — 62,7; 7. **ლარი ელისონი** (აშშ, — 62,5); 8. **მარკ ცუკერბერგი** (აშშ, Facebook) — 62,3; 9. **მაიკლ ბლუმბერგი** (აშშ, მედიაკომპანია, Bloomberg LP) — 55,5; 10. **ლარი პეჯი** (აშშ, Google დამფუძნებელი) — 50,8.

საბელეფონო „სასწაული“

ერთ-ერთმა ჩინურმა კომპანიამ, მსოფლიოში პირველმა წარადგინა მთლიანად მონოლიტური კორპუსის მქონე სმარტფონი. ახალ გაჯეტს არც დინამიკი აქვს, არც ღილაკები, არც დასატენის ბუდე.

აპარატის კორპუსი კერამიკიდანაა დამზადებული, ის უგამტარო ტექნოლოგიით იტენება, სალაპარაკო დინამიკი ეკრანის ქვეშაა დამალული, ჩვეული სიმ-ბარათის მაგივრად კი მასში ელექტრონული გამოიყენება. ეს მოწყობილობა წყალში ნახევარსაათიანი ყოფნის შემდეგაც მუშაობს. იგი მხოლოდ პატრონის სახის, ან მისი თითის ანაბეჭდის ამოცნობის შემდეგ ირთვება. ჩვეულებრივი ღილაკების არქონა, საგანგებო ტექნოლოგიის გამოყენებით მიღებული ეფექტით კომპენსირდება, რომელიც თითის დაჭერის იმიტაციას ახდენს.

ექსპერტები ირწმუნებიან, რომ ამ ტექნოლოგიებში რამე რევოლუციური მიგნება არ არის. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, რომ დღემდე, ჩინელების გარდა, მათი ერთიანად თავმოყრა არავინ მოიფიქრა.

გემრიელიც და სასარგებლოც

გულისთვის ყველაზე სასარგებლო პროდუქტები ქერის პური და მურა ბრინჯია.

ბრიტანეთის დიეტოლოგთა ასოციაციის სპეციალისტების მონაცემებით, მათი მოხმარება გულის სისხლძარღვთა დაავადებებისგან სიკვდილის რისკს 9 პროცენტით ამცირებს. გულით დაავადებულთათვის ასევე რეკომენდებულია ლებნიანები.

საქმე ისაა, რომ ამ პროდუქტებში უჯროვანას მაღალი შემცველობის გამო სისხლში ქოლესტერინის შემცველობა კლებულობს.

ვიდრე შეუკვეთავდეთ, დაფიქრდით!

მკვლევარებმა დაადგინეს, რომ დღეში შემწვარი ქათმის ერთი ულუფის მირთმევა სიკვდილის რისკს 13 პროცენტით ზრდის.

ეს გარემოება 50-70 წლის ასაკობრივი ჯგუფის ქალბატონებზე 18-წლიანი დაკვირვების შედეგად დადგინდა.

მკვლევარები ვარაუდობენ, რომ ამის მიზეზი ისაა, რომ ამ კერპს ხშირად საზოგადოებრივი კვების ისეთ ობიექტებში უკვეთავენ, სადაც მის შესაწვავად ერთსა და იმავე ცხიმს დიდი ხნის მანძილზე ხმარობენ.

გვერდი მოამზადა **ოთარ ტურაბელიძემ**

შემოგაზავზულება აიას ბალისკიდიდან

ახლობლებისთვის ცოცხლობს ლექსებად

იყო თაობათა აღმზრდელი და დიდი ოჯახის დედა. ჰყავდა 4 შვილი და 9 შვილიშვილი. მუშაობდა ქუთაისის მე-17 საჯარო სკოლის ინგლისური ენის პედაგოგად და მრავალი სახელოვანი ახალგაზრდა აღზარდა.

ლექსებს ჯერ კიდევ მოსწავლეობის წლებში წერდა, მაგრამ მხოლოდ 2011 წელს გადაწყვიტა წიგნად გამოეცა. სათაური ორიგინალური შეურჩია — „ახლობლებზე და ახლობლებისთვის“. მისმა ოჯახმა და უახლოესმა მეგობრებმა სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ უდროოდ წასული ჩვენი უახლოესი ადამიანი — მარიცა ბარქაია მისი დაბადების დღის — 15 აპრილის წინ მისივე წიგნიდან ამონარიდი ლექსებით შეგვეხსენებინა საზოგადოებისათვის.



მაისობის მოლოდინი

ქუთაისო, უძველესო ქალაქო,
ერთადერთო, არავის შესადარო,
ზეიმის წინ მსურს დაგელაპარაკო,
მაისობა გაგითენო სადაროდ.
თეთრო ქვებო, მხიბლავს თქვენი მშვენება
და მდინარე, შვილი როა ფასის მთის,
დაე, ერქვას, რა სახელიც ენებოს,
ორივეა — რიონიც და ფაზისიც!
მოლოდინში თითეულ წუთს დავითვლი,
ვხედავ, მოქრის მალემსრბოლი ფრთამალი:
— გელათიიდან დაიძრაო დავითი,
გეგუთიდან ჩამოდისო თამარი!..

ქებათა-ქება ბალისკიდეს

ბევრგან მიწევს მე გუნება და ბევრს ვნახავ,
ვიცი, კიდევ,
მაგრამ არსად მეგულება სხვა მეორე ბაღისკიდე.
არც ასეთი მომხიბვლელი, არც ასეთი მშობლიური,
მის მსგავს სხვაგან ნურსად ელით, დაეკითხეთ,
გეტყვიით გული!

რაც ვარ, ესა ვარ!

როგორ გავძელი მე ამდენ ხანს, მიკვირს ძალიან,
რადგან ცხოვრება სიდუხჭირის ტყუპისცალია.
არ დამკლებია მისეული მკაცრი გამოცდა,
კბილს კბილზე ვაჭერ, მაგრამ ზოგჯერ კვნესაც
წამომცდა.
ვებრძვი ყოველდღე ბედისწერის სასტიკ განაჩენს;
ვპატრონობ შვილებს, შვილიშვილებს, ყველა დანარჩენს.
მინდა, გავმხნევდე, დაცემული არვის ვენახო,
რომ დაიხუნძლო, ჯიქანსავსე ჩემო ვენახო!
ვცხოვრობ სამშობლოს სასიკეთოდ და საესავად,
რადგან რაც ვიყავ, ისევ ის ვარ, რაც ვარ, ესა ვარ!..

მოდი ჩემთან, მოდი შვილო!

ნარგიზივით თავდახრილო, ცისფერთვალა ყვავილი ხარ,
ალვისტანავ, ფრთხილო, ზრდილო, სხვანაირი
არც მინდიხარ.
ვარდის რტო ხარ კოკორშლილი,
ბულბულების სასიმღეროდ,
მოდი ჩემთან, მოდი შვილო, მოდი, უნდა მოგეფერო!

მოვალ, ისევე მოვალ!

მიყვარს ოცნებით სამყაროს მოვლა და
ყვავილების მოვლა,
თუ კვლავ მოვედი, აპრილში მოვალ, მოვალ,
უთუოდ მოვალ!
წვრილი შვილების რადგან ვარ დედა,
ხან ვთამამობ, ხან ვმორცხვობ,
სიყვარულისთვის დავიბადე და
სიყვარულისთვიის ვცოცხლობ!

მარიცა ბარქაია

უხვი ნალექის მოსვლის დროს თბილისის ქუჩები, შესაძლოა, ისევ დაიტბოროს!

— აცხადებს „ჯი-ეიჩ-ენთან საუბარში, „მწვანეთა მოძრაობის — დედამიწის მეგობრების“ თანათავმჯდომარე ნინო ჩხობაძე. მისი თქმით, მთავარი პრობლემა სანიაღვრე სისტემებია.

„მზად ვართ თუ არა წყალდიდობებისთვს? იმედი მაქვს, ვერაზე ის რეკონსტრუქცია, რაც ჩაატარეს, საკმარისი აღმოჩნდება წყალდიდობის ასარიდებლად. ხევები გაწმენდილია. ამ მხრივ თბილისი მზადყოფნაშია. სხვა პრობლემაა, სანიაღვრე სისტემები. ანუ, დიდი, უხვი ნალექის მოსვლის დროს თბილისის ქუჩები, შესაძლოა, ისევ დაიტბოროს მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ სანიაღვრე სისტემების სრული რეაბილიტაცია ჯერ არ მომხდარა. საერთო ჯამში, აქ შეიძლება კიდევ იყოს საფრთხეები, რეალურად“, — განაცხადა ნინო ჩხობაძემ და დასძინა, რომ უნდა არსებობდეს სპეციალური სამსახური და სანიაღვრე სისტემები აუცილებლად უნდა გაიწმინდოს.

ისნის რაიონში 350 ბავშვზე გათვლილი ახალი ბაგა-ბაღი შენდება

სკოლამდელი აღზრდის ამ დაწესებულებაში 11 საალმზრდელო ჯგუფი იქნება და 7-მდე ადამიანი დასაქმდება. საბავშვო ბაღში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად უზრუნველყოფილი იქნება ბავშვთა უსაფრთხოება და ადაპტირებული იქნება შშმ პირებისთვის.

„ისნის რაიონში საბავშვო ბაღებზე მოთხოვნა განსაკუთრებით მაღალია, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების არსებული რაოდენობა კი ამ მოთხოვნას სრულად ვერ აკმაყოფილებს. ნავთლუღის ქუჩის გარდა, კიდევ ერთი ბაღი ქინძმარაულის ქუჩაზე აშენდება, ხოლო სულ დედაქალაქის მასშტაბით, ამჟამად 10 საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობა მიმდინარეობს,“ — განაცხადა კახაბერ გვანცელაძემ. მშენებლობას კომპანია „ინდივიდ-პარტნიორი“ აწარმოებს. პროექტის ღირებულება 2 777 000 ლარია და მისი დასრულება 9 თვეში იგეგმება.

დაცულ ლანდშაფტებზე დიდი ჰესები არ აშენდება

„დაცულ ლანდშაფტებზე დიდი მასშტაბის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა არ იგეგმება“, — განაცხადა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ნინო თანდილაშვილმა.

10 აპრილს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტში დაიწყო მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივის განხილვა, რომლის მიხედვით, მთავრობის გადაწყვეტილებით, დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე ენერგეტიკული მნიშვნელობის ობიექტისა და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მშენებლობა დასაშვები ხდება.

საუბარია თრუსოსა და არაგვის ხეობებში დაცული ლანდშაფტების შექმნაზე, სადაც ჰესების აშენების საფრთხეზე გარემოს დამცველები უკვე ალაპარაკდნენ.

„მწვანეთა მოძრაობა — დედამიწის მეგობრების“ ხელმძღვანელმა ნინო ჩხობაძემ, მაგალითად, განაცხადა, რომ თუ „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ კანონში ცვლილებები შევიდა ძალაში, დაცული ლანდშაფტი აღარ იქნება“.

ნინო თანდილაშვილმა მთავრობის სახელით განაცხადა, რომ გარემოს დაცვის სამინისტრო არ დაეთანხმება დაცულ ლანდშაფტზე მსხვილი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობას. მისი სიტყვებით, მთავრობა მზადაა, დაზუსტდეს კანონში არსებული ჩანაწერი, თუ ის ასეთ ეჭვებს იწვევს:

„აქ საუბარია იმაზე, რომ დაცულ ლანდშაფტზე გაკეთდეს ისეთი ობიექტი, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობის ელექტროენერგიით მომარაგებას და ტურიზმის განვითარებას შეუწყობს ხელს. მაგალითად, ქარის სადგური, მზის პანელები, მიკროჰიდროელექტროსადგური, რომლის მსგავსი პატარა ჰესები სხვაგანაც გვაქვს, მაგალითად, თუშეთის დაცულ ლანდშაფტზე. გარწმუნებთ, ჩვენ ძალიან კარგად გვესმის დაცული ტერიტორიების და დაცული ლანდშაფტის მნიშვნელობა — თრუსოს და არაგვის დაცული ლანდშაფტი არის ფლორით და ფაუნით გამორჩეული ორი უნიკალური ტერიტორია, სადაც მასშტაბური ჰესების მშენებლობა არც დაგეგმილია და მთავრობა ამას არც დაუშვებს. ეს არის მთის განვითარების პროექტის ნაწილი“, — განაცხადა ნინო თანდილაშვილმა.

მისივე სიტყვებით, მთავრობა არ დაუშვებს არც ერთი ისეთი პროექტის განხორციელებას, რომელიც დაცული ტერიტორიების და დაცული ლანდშაფტების ეკოსისტემაში ჩარევის საფრთხეს გააჩენს. ახლად შექმნილი დაცული ლანდშაფტების მართვა ადგილობრივი მუნიციპალიტეტის პასუხისმგებლობა იქნება.

გარემოს დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის კახაბერ კუჭავას განცხადებით, აუცილებელია, რომ კანონპროექტის განმარტებით ბარათში ძალიან მკაფიოდ იყოს მითითებული, რომ ამ ტერიტორიებზე არ აშენდება მასშტაბური ჰიდროელექტროსადგურები. მისი თქმით, პირველი, რაც უნდა გაკეთდეს, ეს არის ის, რომ განმარტებითი ბარათიდან ამოღებული იქნას „მასშტაბური ენერგეტიკული პროექტები“. გაუგებრობა სწორედ ამ ჩანაწერმა გამოიწვია“.

„ჩანაწერი, რომ „ენერგეტიკული ობიექტების მშენებლობა დასაშვებია მთავრობის თანხმობის საფუძველზე“ ძალიან ფართო ფორმულირებაა და ასე ვერ დარჩება, თუმცა ამ საკითხს დეტალურად გარემოს დაცვის კომიტეტის სხდომაზე განვიხილავთ“, — განაცხადა კახაბერ კუჭავამ.

ზაზა ფაჩულია წლევანდელი ნბა-ს პლეი-ოფში მეცხრედ ითამაშებს! ეს მას შემდეგ გაირკვა, რაც ზედიზედ ოთხი მარცხის შემდეგ „ოქროს ბეჭდის“ ორგზის მფლობელის ამჟამინდელმა კლუბმა „დეტროიტ

საშუალედო ფინიშზე

ფაჩულიამ პროგრამა-მინიმუმი შეასრულა

პისტონზმა“ რეგულარული სეზონის ფინიშზე მიჯრით ორი შეხვედრა მოიგო და მერვედფინალის ვაგონს უკანასკნელი შეახტა – აღმოსავლეთ კონფერენციაში მერვე ადგილი დაიკავა.

სატურნირო სტრატეგიის თვალსაზრისით განსაკუთრებით ფასეული გახლდათ საკუთარ დარბაზში „მემფის გრიზლიზთან“ მოპოვებული გამარჯვება – 100:93, რომლის უკანასკნელ პერიოდშიც მიჩიგანელებმა მეტოქე 36:14 დააშამათეს და 15-ქულიანი ჩამორჩენა გააბათილეს.

მასპინძლებმა „ძლევაი საკვირველი“ სმიტისა (22 ქულა, 4 პასი და 3 მოხსნა) და დრამონდის (20 ქულა, 17 მოხსნა და 5 ჩაჭრა) ძალისხმევით გამოჭედეს, „ჯვაროსანთა“ყოფილი კაპიტანი კი პარტნიორებს 7 წუთში მოგროვებული 3 ქულითა და 6 მოხსნით შეეწია.

ქართველი ცენტრი უკეთ გამოიყურებოდა გუშინ „ნიუ იორკ ნიქსთან“ სტუმრად გამართული დასკვნითი ტურის მატჩში – 6 ქულა, 5 მოხსნა და 3 პასი, მთლიანად უთანასწორო ბრძოლა კი 115:89 დასრულდა.

ჩვენებურის გუნდის მომავალ სერიაში ფავორიტად პირველადგილოსანი „მილუოკი ბაქსი“ მიიჩნევა, თუმცა, ვიმედოვნებთ ზაზა და კომპანია ღირსეულად წარმოაჩენენ საკუთარ შესაძლებლობებს და სენსაციის მოხდენასაც შეეცდებიან.

ამასობაში ცნობილი გახდა, რომ შთამბეჭდავი კარიერა დაასრულა „დალას მავერიქსის“ გერმანელმა ლეგენდამ დირკ ნოვიცკიმ. ნბა-ს 2011 წლის ჩემპიონმა ტეხასელთა შემადგენლობაში 21 სეზონი გაატარა და ამ ხნის განმავლობაში 14-ჯერ მიიწვიეს ყველა ვარსკვლავის მატჩში, 12-ჯერ მოხვდა სეზონის სიმბოლურ ნაკრებში და 2007 წელს რეგულარულის უძვირფასესი მოთამაშე გახდა.

დავძენთ, რომ გამორჩეულმა სნაიპერმა ასეთი საშუალო სტატისტიკური მონაგარი დაგვიტოვა: 20,7 ქულა, 7,5 მოხსნ:ა და 2,4 პასი.

ვიტალი ჯაფარიძე



◎ მედლები კარპატებიდან

„ოქროს“ იქნება

სახელოვანი ქართველი ფალავანი გენო პეტრიაშვილი (125 კგ.) რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში დასრულებული თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატის მეორე პრიზიორი გახდა.

იგი ფინალში მარადიულ თურქ მეტოქე ტაჰა აკგულთან შერკინებას სათანადოდ მომზადებული ვერ შეხვდა, ხელს მუხლის ტრავმაც უშლიდა და გამარჯვების შანსი არ ჰქონია – 0:7.

შეგახსენებთ, რომ მანამდე „ჯვაროსანთა“ ლიდერმა უნგრელი დანიელ ლიგეტი (7:4), პოლონელი რობერტ ბარანი (10:2) და უკრაინელი ოლექსანდრ ხოციანოვსკი (3:2) დაამარცხა.

ამგვარად, საქართველოს ნაკრებმა კონტინენტურ ფორუმზე 6 ჯილდო მოიპოვა. კაპიტნის გარდა, „ვერცხლი“ ბექა ლომთაძემ (61 კგ.) აიღო, ბრინჯაოს მედლები კი ავთანდილ კენჭაძემ (74 კგ.), ნიკა კენჭაძემ (79 კგ.), ირაკლი მწითურმა (92 კგ.) და ელიზბარ ოდიკაძემ (97 კგ.) დაისაკუთრეს.

გუნდურ ჩათვლაში გიორგი იანტბელიძის შეგირდებმა 104 ქულა მოაგროვეს და მე-4 ადგილზე გავიდნენ, სამეული კი ასე დახარისხდა: 1. რუსეთი – 162 ქულა, 2. თურქეთი – 156 ქულა, 3. აზერბაიჯანი – 145 ქულა.



კობა კობახიძე

◎ ჩემპიონთა ლიგა

ავჯოგოლი - სისხლის წილ

2007 წლის 10 აპრილს კრიშტიანუ რონალდუმ ჩემპიონთა ლიგაში პირველი ბურთი გაიტანა. გავიდა ზუსტად 12 წელი და „ადამიანმა-გოლმა“, ისევ 10 აპრილს, საკუთარი პირადი მონაგარი 125-მდე გაზარდა. ეს ამსტერდამის იოჰან კრუიფის სახელობის სტადიონზე მოხდა, სადაც ახალგამოჯანმრთელებულმა პორტუგალიელმა შესვენების წინ თანამემამულე კანსელოს ფლანგური გადაცემა ზუსტი თაური დარტყმით დააგვირგვინა – 1:0.

სხვათა შორის, 33 წლის ბომბარდირმა კარიერაში მერვედ დალაშქრა ჰოლანდიური გრანდის კარი, მთლიანობაში კი მასპინძლები ღირსეულად უმკლავდებოდნენ მრისხანე მეტოქეს და სავსებით დაიმსახურეს ბრაზილიელი დავით ნერეშის საპასუხო ჩხვლეტა – 1:1.

მართალია, ეს შედეგი წინსვლისთვის გაცილებით მეტ შანსს „იუვენტუსს“ უტოვებს, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ „აიაქსმა“ წინა ეტაპზე სარევანშო რაუნდში თვით მადრიდის „რეალს“ გამოუყვანა წირვა, თანაც – „სანტიაგო ბერნაბეუზე“ – 4:1 (1:2).



კიდევ უფრო საინტერესოდ ვითარდებოდა მოვლენები „ოლდ ტრაფორდზე“, სადაც, თქვენ წარმოიდგინეთ, სისხლიც კი დაიღვარა, როცა სმოლინგმა მესის ცხვირიც გაუტეხა და კინაღამ თვალიც დაუზიანა. ტრადიციისამებრ, არგენტინელმა ვაჟკაცურად ჩაყლაპა მასპინძლის აგრესია და მას სამაგიერო შედეგიანი გადაცემით გადაუხადა (მერე რა, რომ კომბინაცია სუარესმა გააგრძელა და ბურთი საკუთარ კარში შოუმ გაგზავნა) – 1:0 „ბარსელოას“ სასარგებლოდ.

გვინდა თუ არა, პარალელი ამ შემთხვევაშიც სასტარტო პლეი-ოფთან უნდა გავავლოთ, როცა „მანჩესტერმა“ თითქმის გამოტირებული მერვედფინალი შემოუტრიალა „პარი სენ-ჟერმენს“ 3:1 (0:2).

ბევრი იტყვის, რომ სასწაულები არ მეორდება, მაგრამ ისიც გავითვალისწინოთ, რომ სტერეოტიპები ადრე თუ გვიან მაინც იმსხვრევა.

გიორგი ზოთაძე

◎ ჩოგბურთი

მეზობლებს დაერია

ქართველი ჩოგბურთელები გიორგი ცივაძე და ალექსანდრე მეტრეველი ყაზახეთის ქალაქ ჩიმკენტში ძალებს 25-ათასიან ტურნირში ცდიან.

კვალიფიკაციაში მე-8 ნომრად განთესილმა ცივაძემ რუსები მაქსიმ მასლოვი და ალექსანდრ პავლიუჩენკოვი, შესაბამისად, 6:2, 6:2 და 6:3, 4:6, 13:11 დაამარცხა.

გიორგი ძირითად ბადეში მე-8 რეიტინგის მქონე მათსავე თანამემამულე კონსტანტინ კრავჩუკს გაეჯიბრა და 7:5, 6:3 სძლია. მერვედფინალში ჩვენებურის მეტოქე „უაილდ ქარდის“ მფლობელი ყაზახი ტიმოფეი სკატოვი იქნება.

მეტრეველი პირდაპირ ძირითად ბადეში იყო დაშვებული და პირველ რაუნდში კორტის მასპინძელ ანდრეი გოლუბევთან, რომელიც 2010 წელს მსოფლიოს 33-ე ჩოგანიც კი იყო, 3:6, 0:6 წააგო.

წყვილთა თანრიგში ცივაძე და ყაზახი საგადატ აიაპი ინდოელებს – სიდჰარტ რავატსა და მანიშ სურეშკუმარს ეთამაშებიან, მეტრეველი და რუსი მარკოს კალოველონისი კი პირველი განთესვის მქონე უზბეკურ-უკრაინულ დუეტს (სანჯარ ფაიზიევი-ვლადისლავ მანაფოვი) გაეჯიბრებიან.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ინტერნეტიდან

ცოლთან ერთად

ამჟამად ესპანურ „ვალენსიაში“ მოთამაშე არგენტინელ მცველ ეზეკიელ გარაის მეუღლე თამარა გორო მისი ეპატაჟურობისა და სითამამის გამო ხშირად გამხდარა საყოველთაო განხილვის საგანი და ჟურნალისტები ცოლის შესახებ ფეხბურთელსაც მუდმივად უსვამენ არცთუ სასიამოვნო კითხვებს.

თავიდან „ღამურების“ ლეგიონერი ნამეტნავად ბრაზდებოდა „ყვითელი მოკალმეების“ შემოტევაზე და მისი პასუხებიც მეტად უკმეხი იყო, თუმცა, მოგვიანებით მანაც კარგად აუღო ალღო პოპულარობის მიღწევის ერთობ მარტივ ხერხებს და ახლა თანამეცხედრის შესახებ ისეთ რამეებს ამზეურებს, რასაც ადრე ვერც კი გაბედავდა.

სულ ახლახან კი ცნობილი გახდა, რომ ნეფე-დედოფალი დევიდ ბექჰემისა და ვიქტორია ადამსის მსგავსად თამამ ფოტოსესიაში ერთად მიიღებენ მონაწილეობას და ამ წყვილის ტან-ფეხით ფერადყდიანი ბულვარული გამოცემების გადაჭრელება თქვენ მერე უნდა ნახოთ...

ბეჭან დოლიძე

აღიარებული ინჟინერი

ოთარ ჩხაიძის გარდაცვალების გამო

9 აპრილს გარდაიცვალა აღიარებული და ღვაწლმოსილი ინჟინერი გამოთვლითი ტექნიკის დარგში **ოთარ შალვას-ძე ჩხაიძე,** აკად.ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის ეგმ-ის მძლავრი პარკის (ბესმ-4, ორი ბესმ-6, მ-220) ფუნქციონირების ინიციატორი და ერთ-ერთი ხელმძღვანელი აწ გასვენებულ ბ-ნ ნოდარ სვანიძესთან ერთად 1968-2000 წლებში. არსებული პარკი უზრუნველყოფდა ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი ხასიათის სამუშაოების ხარისხიანად და დაგეგმილ ვადაში შესრულებას, რითაც ინსტიტუტი გამოირჩეოდა ყოფილი საბჭოთა კავშირის სამხრეთ ნაწილში, როგორც წამყვანი და საიმედო დაწესებულება სამეცნიერო, სასწავლო და სამრეწველო-სამეურნეო ხასიათის რეალიზებული და დანერგილი კვლევების ხაზით.

დავალებული მისიის შესრულება, გარდა პროფესიონალური ჩვევებისა, საჭიროებს მორალური საწყისების ფლობას, რაც გადამწყვეტია კადრებთან წარმატებით ურთიერთობისათვის.ასეთი ხასიათის მრავალი ფურცელი ჩაიწერა ინსტუტუტისა და ჩვენი უნივერსიტეტის ცხოვრებაში, მაგრამ საილუსტრაციოდ საკმარისია მოვიყვანოთ ერთი ფრაგმენტი ბ-ნი ოთარის მოღვაწეობისა.

გასული საუკუნის 70-იან წლებში ინფორმატიკის დარგისთვის მეტად აქტუალური იყო გამოყენებითი პროგრამების პაკეტების გამოკვლევისა და დამუშავების საკითხები. მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის, რომელიც ქვეყანაში სამეცნიერო-ტექნიკური დარგის განვითარებასა და მართვას ემსახურებოდა, იმდროინდელმა ხელმძღვანელობამ თხოვნით მიმართა თსუ რექტორსა და გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორს, აკად. ი. ვეკუას, რათა ინსტიტუტი აქტიურად ჩართულიყო აღნიშნული საკითხების გადაწყვეტის საქმეში. იმ პერიოდისთვის ღია გრიფით მისაწვდომ საბჭოთა ლიტერატურაში გამოყენებითი პროგრამების პაკეტების შესახებ არსებობდა მეტად მწირი ინფორმაცია.

პაკეტის შემსრულებელი სამეცნიერო-ტექნიკური ჯგუფის, რომლის გარკვეული ნაწილის ხელმძღვანელი ბ-ნი ოთარიც გახლდათ, სასახელოდ უნდა ითქვას, რომ წარმატებით დასრულდა გამოყენებითი პროგრამების პირველი ქართული პაკეტის შექმნა, ფუნქციონირება და ექსპლოატაციაში გადაცემასთან დაკავშირებული სამუშაოები. ჩატარებული სამუშაოთა შედეგები გამოქვეყნებული იყო ზემოთ ხსენებული კომიტეტის ბიულეტენსა და ალგორითმებისა და პროგრამულ ნაწარმთა საკავშირო და რესპუბლიკურ ფონდებში, გამოიცა მონოგრაფია ორ ტომად, დაიბეჭდა რამდენიმე სტატია.

ცხადია, რომ პაკეტის შექმნა და საექსპლოატაციოდ გადაცემა ვერ განხორციელდებოდა უშუალო შემსრულებლებთან ერთად საინჟინრო-ტექნიკური პერსონალის, პირველ რიგში, ბატონ ნოდარ სვანიძისა და ბატონ ოთარ ჩხაიძის, თანამონაწილეობის და თავდადებული შრომის გარეშე.

მართალია, აღნიშნული სამუშაოს წარმატებით დასრულებას, სამწუხაროდ, ვერ მოესწრო მისი ინიციატორი ბატონი ილია, მაგრამ შეიქმნა პროგრამულ-ორიენტირებული პაკეტი და საექსპლოატაციოდ გადაიცა იგი ვადებისა და გეგმით გათვალისწინებული პირობების სრული დაცვით. ამასთან, ზეგეგმით შეიქმნა ახალი პროგრამული მოდულები და „ბესმ-6“-ზეც განხორციელდა პაკეტის ფუნქციონირება. ზემოთ მოყვანილი ფაქტი ინსტიტუტის სხვა თანამშრომლებთან ერთად, ოთარ ჩხაიძის ღვაწლის ერთ-ერთი დადასტურებაა.

ვუბრუნდებით რა ბ-ნი ოთარის პიროვნებას, პარალელურად უნდა აღინიშნოს მისი ერთგულება და თავდაუზოგავი სამსახური ინსტიტუტის ტექნიკის სრულყოფის თვალსაზრისით, იგი გახლდათ გამომთვლელი მანქანების ნამდვილი დასტაქარი, ამ დარგის უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი, ყველასთვის ერთგული და დამხმარე, შვილებზე, შვილიშვილებსა თუ ყველა ახლობლისათვის გადაყოლილი და უსაზღვროდ მზრუნველი, ყოვლად თავმდაბალი, არ განმკითხავი.

ძალიან დასანანია, რომ ასეთი ადამიანები დროებით გვშორდებიან. ნათელში იყოს ბატონი ოთარის მაღალი, სპეტაკი სული და მისი ახლობლები ვიმედოვნეთ, რომ ამ ყოველმხრივ გამორჩეული ადამიანის ხსოვნას ვერაფერი წაშლის ახლობლებისა და მეგობართა გულებში.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ილია ვეკუას გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია და მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი-ფიზიკოსი, აკადემიის ნამდვილი წევრი

ნოდარ კეკელიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

შვილები მალხაზი, ლამზირა, რძალი ლალი, შვილიშვილები თიკო, ნინო, სოფო, მარი, თეონა, სიძეები შაკო ქორიძე, გაგა სტურუა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ოთარ ყანჩაველი

პანაშვიდი 11, 12 IV, მის. ატენის ქ. №25, I სად, VII სართ. გამოსვენება 13 IV, 14 სთ-ზე, საბურთალოს ქუჩა (იპოდრომთან), ანტონ მარტყოფელის სახელობის ეკლესიიდან.

ისევ ნარკოტიკები, ისევ „ბარიგები“...

საპატრულო პოლიციამ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვის ბრალდებით 2 პირი დააკავა. საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად 1992 წელს დაბადებული ნ. ხ. და 1989 წელს დაბადებული ს. გ., წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით თბილისში დააკავეს.

საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა სოფელ დიღმის ტერიტორიაზე, გადამოწმების მიზნით შეაჩერეს ავტომანქანა. მისი მძღოლის ს.გ.-ს და მგზავრის — ნ.ხ.-ს პირადი ჩხრეკისას, ნივთმტკიცებად ამოღებულია: 49 მცირე შეკვრად დაფასოებული და 1 მოზრდილი შეკვრა ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება — ე.წ. ბიო, ასევე, 1 აბი „ექსტაზი“ და 2 შეკვრა თეთრი ფერის ფხვნილი, სავარაუდოდ, ნარკოტიკული ნივთიერება, რომლებზეც დანიშნულია შესაბამისი ექსპერტიზები.

პოლიციამ ბრალდებულების საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას 9 აბი და ერთი ნატეხი „ექსტაზი“ და ორ შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება ამოიღო.

პატიმარმა 51 „კუსაჩკა“ და 5 მაგნიტი გადაყლაპა!

მსჯავრდებულმა ბექა გელხაურმა პროტესტის ნიშნად სხვადასხვა რკინის ნივთები გადაყლაპა, მათ შორის არის რამდენიმე ათეული მაგნიტი და საჭრელი. გელხაური ამ დრომდე სასჯელაღსრულების ნომერ მეთვრამეტე სამკურნალო დაწესებულებაში იმყოფება. გელხაური ოპერაციაზე უარს ამბობს ვიდრე იუსტიციის მინისტრს და მთავარ პროკურორს არ შეხვდება.

გუშინ ადვოკატმა და მსჯავრდებულის ოჯახის წევრებმა პროკურორთან შეხვედრა მოითხოვეს.

„შემოვიტანე განცხადება და მოვითხოვე სასწრაფოდ მთავარ პროკურორთან და თეა წულუკიანთან შეხვედრა, რადგანაც ამას ითხოვდა მსჯავრდებული. რომელსაც აქვს გადაყლაპული 51 ცალი ე.წ. „კუსაჩკა“, 5 მაგნიტი და 2018 წლის 17 სექტემბრის შემდეგ შიმშილობს,“ — განაცხადა ბექა გელხაურის ადვოკატმა ლალი ბუნტურმა.

ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების შემცველი მედიკამენტები ამოიღეს

26 მარტიდან 11 აპრილის ჩათვლით, ნინოწმინდაში, კარწახში, თბილისისა და ქუთაისის აეროპორტებში ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების შემცველი მედიკამენტები გამოავლინეს.

კერძოდ, საბაჟო გამშვებ პუნქტებში „ნინოწმინდა“, „კარწახი“, „თბილისის აეროპორტი“ და „ქუთაისის აეროპორტი“ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე, საქართველოს, ირანისა და სომხეთის მოქალაქეების კუთვნილი ხელბარგისა და მათი მართვის ქვეშ არსებული ავტომობილის დათვალიერებისას, ნარკოტიკული (269 აბი და ჰაშიში 4.8 გრ.) და ფსიქოტროპული (864 კაფსულა და 565 აბი) ნივთიერების შემცველი მედიკამენტები აღმოაჩინეს.

საქმეთა მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაეცა. შინაგან საქმეთა სამინისტროში აღიძრა სისხლის სამართლის საქმეები და გამოძიება სსკ-ის 260-ე, 262-ე და 263-ე მუხლებით მიმდინარეობს.

ორი არასრულწლოვანი გამოავლინეს

პოლიციამ ორი არასრულწლოვანი გამოავლინა. გამოძიების ინფორმაციით, მოზარდებმა 2019 წლის 7 აპრილს სოფელ ვეჯინში ბიბლიოთეკის ინვენტარი ჯერ დაზიანეს, შენობაში დაცული წიგნები დახიეს, შემდეგ კი ავეჯი და ნივთების დაწვა სცადეს.

დაკავებულები ჩადენილ დანაშაულს აღიარებენ. გამოძიება სხვისი ნივთის დაზიანების ან განადგურების ფაქტზე მიმდინარეობს.

თბილისში ცხენისა და ვირის ხორცი საქონლის ხორცად საღდებოდა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციულ სააგენტოსთან და სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან თანამშრომლობით, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ სხვისი ქონების მოტყუებით დაუფლების ფაქტზე ორი პირი ამხილა.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულები, სხვადასხვა რეგიონში, დაბალ ფასში იძენდნენ ცხენისა და ვირის ხორცს, რომლის ტრანსპორტირებაც ხდებოდა ქ. თბილისში მდებარე ერთ-ერთ ობიექტზე კუსტარული წესით მოწყობილ ე. წ. „ბოინში“, სადაც ყოველგვარი რეგისტრაციისა და სანიტარიული ნორმების დაცვის გარეშე, ახდენდნენ ცხენისა და ვირის ხორცის დარბილება-დამუშავებას და მის შემდგომ რეალიზაციას ბაზრობებზე და სხვადასხვა კვების ობიექტებზე საქონლის ხორცის სახით. საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ბაზრობაზე, ასევე რამდენიმე ობიექტზე ამოღებულია დიდი ოდენობით ხორცი, რომელიც ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, შეიცავს ცხენის და ვირის დნმ-ს. ასევე ე.წ. „ბოინში“ აღმოჩენილი იქნა ცხენისა და ვირის სხეულის ნაწილებიც.

მუნასიბი გიორგი გაბუნიაზე

იმასთან დაკავშირებით, რომ სამშაბათ საღამოს, როცა საქართველო 9 აპრილის 30 წლისთავს აღნიშნავდა, ამ გუდაფშუტამ მასავით თავქარიანი რესპონდენტები შემოიკრიბა, რათა მათთან ერთად თვითმარქვია „მთავარი არხის“ ტელემაყურებლებისთვის როგორმე დაემტკიცებინა, რომ ვისაც ეთერიდან მისი ყიამყრალი გენდირექტორის ნიკა გვარამიასეული დედის გინების მოსმენა არ მოსწონს, ყველა „ქოცია“ და „ცენზურის“ აღდგენის მომხრეა.

ბილწსიტყვაობის მაქებარს,
ლიქნი რომ ადევს ლაქებად,
მოდით და ვუთხრათ „იასნად“
გიორგი გაბუნიასა,
სააკანთ კუდის რიკასა,
ნაპროკურორალ ნიკასა,
გენდირექტორი რაკია,
პირის მაგივრად ტრაკი აქვს!

ლექსო აშორდია
(ზუგდიდიდან)

ტალინში ნინო ჩაკვეტაძის გამოფენა გაიხსნა

ტალინში, ესტონეთის საბავშვო ლიტერატურის ცენტრის საგამოფენო დარბაზში ცნობილი ქართველი მხატვრის ნინო ჩაკვეტაძის ილუსტრაციების გამოფენა გაიხსნა. ღონისძიება ესტონეთის საბავშვო ლიტერატურის ცენტრის ორგანიზებითა და ესტონეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით გაიმართა.

ღონისძიებაზე მოსულ სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს ესტონეთში საქართველოს ელჩმა თეა ახვლედიანმა და ცენტრის დირექტორმა ტრიინ სოონემ. თეა ახვლედიანმა საუბრისას ხაზი გაუსვა ესტონეთში ქართული ხელოვნების წარმოჩენის მნიშვნელობას. ელჩი მიესალმა ესტონეთის საბავშვო ლიტერატურის ცენტრში პირველი ქართველი მხატვრის ნამუშევრების წარმოდგენას და ისაუბრა ნინო ჩაკვეტაძის შემოქმედების განსაკუთრებულ სტილზე. თეა ახვლედიანმა აღნიშნა, რომ მიმდინარე გამოფენა მოიცავს არტისტის შემოქმედების მხოლოდ ერთ-ერთ მიმართულებას - ქართული საბავშვო ლიტერატურის, ისევე როგორც უცხოელი ავტორების საბავშვო წიგნების ილუსტრაციებს.

გამოფენის გახსნას ესწრებოდა თავად ნინო ჩაკვეტაძეც, რომელიც სპეციალურად ამ ღონისძიებისთვის ეწვია ტალინს. მან დამთვალიერებლებს წარუდგინა ინფორმაცია ნამუშევრების შესახებ და ისაუბრა მისი შემოქმედების ჟანრსა და ძირითად მიმართულებებზე.

აღსანიშნავია, რომ ცენტრი რეგულარულად წარუდგენს ესტონელ დამთვალიერებელს საბავშვო წიგნების როგორც ესტონელი, ასევე უცხოელი ილუსტრატორების ნამუშევრებს, სადაც პირველად იქნა გამოფენილი ქართველი ხელოვანის ნახატები.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ესტონეთის კულტურისა და ლიტერატურული წრეების, ესტონეთში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსისა და ქართული დიასპორის წარმომადგენლები.

ნამუშევრების დათვალიერება 4 მაისის ჩათვლით იქნება შესაძლებელი.

სამეფო კარზე დავა შეწყდა!

სასამართლომ დედოფალს მეფის წინააღმდეგ შეტანილი საჩივრის განხილვაზე უარი უთხრა

უცნობია, რა მოტივით უთხრა სამმა მოსამართლემ ანა ბაგრატიონ გრუზინსკის საჩივრის განხილვაზე უარი.

დავით ბაგრატიონ მუხრანელის ადვოკატი ლევან ჩხეიძე მოსამართლეების გადაწყვეტილებით კმაყოფილია. ადვოკატის თქმით, სასამართლომ ჩათვალა, რომ საქმეში არანაირი იურიდიული საფუძვლები არ არსებობდა.

„ჩვენ ამას ვამბობდით, რომ საქმე სასამართლომ საერთოდ არ უნდა განიხილოს, არათუ უარი უთხრას. ჩვენი შუამდგომლობაც ამაში მდგომარეობდა, რომ საქმე უნდა შეწყვეტილიყო დავის საგნის არარსებობის გამო. იმიტომ, რომ მოწინააღმდეგეს არ აქვს იურიდიული ინტერესი,“ — ამბობს ადვოკატი.

დახმარების მსურველთა საყურადღებოდ!

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6912; ევრო - 3.0346;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5206;
100 რუბლი - 4.1622; თურქული ლირა - 0.4731;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5830;
1000 სომხური დრამი - 5.5289.

ამინდი 12 აპრილისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+7,	დღე	+24
მთიანი რაიონები -	ღამე	+2,	დღე	+20
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+8,	დღე	+22
მთიანი რაიონები -	ღამე	+2,	დღე	+18
თბილისი:	ღამე	+8,	დღე	+21

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge